ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე: ახლა ძნელბედობა და სიდუხჭირეა საქართველოში. მინდა ჩემს ხალხს ვუთხრა—არ შეიძლება ასე გაგრძელდეს დიდხანს. არ შეიძლება 21-ე საუკუნის მიჯნაზე კაცობრიობა შეეგუოს ერების, ხალხების დაყოფას ორ სფეროდ—ღარიბთა, დამშეულთა და მდიდართა, ბედნიერთა და უბედურთა სფეროებად. იქნება ერთი სფერო—ბედნიერი, მოაზროვნე ხალხთა თანამეგობრობა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 269 (797) | ხუთშაბათი, 23 დეკემბერი, 1993 წელი | ფასი 300 კუპონი

ედუარდ შევარდნაძე მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაში

საქართველოს სახელმწიფო დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით 23 დეკემბერს დილით მიფრინავს აშგაბადში, სადაც იგი მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მორიგ შეხვედრაში. შეხვედრა გაიმართება 24 დეკემბერს თურქმენეთის დედაქალაქში. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი, სხვა ოფიციალური პირნი.

როგორც ჩვენს კორესპონდენტს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, საქართველოს დელეგაციის პორტფელშია 20-ზე მეტი შეთანხმება სხვადასხვა დარგში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. მოელიან, რომ თანამეგობრობის მორიგი უმაღლესი დონის შეხვედრა დამთავრდება დოკუმენტების პაკეტის ხელმოწერით, რომელთა შორის არის შეთანხმებანი ეკონომიკური კავშირის შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დროებითი გამოყენების, საინვესტიციო საქმიანობის დარგში თანამშრომლობის, ფასებისა და გადასახადების დარგში პოლიტიკის კოორდინაციის, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების რეალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ, კონვენცია იმ პირთა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ უმცირესობებს. მიღებული იქნება აგრეთვე აშგაბადის დეკლარაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარებისა და ურთიერთობაში ნდობის განმტკიცების შესახებ.,

თურქმენეთის დედაქალაქში გათვალისწინებულია ხელი მოაწერონ დოკუმენტებს საქართველოს და ბელარუსს, საქართველოსა და უზბეკეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. მხარეთა თხოვნით მათი პროექტები მომზადებულია ჩვენს რესპუბლიკაში.

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ აშგაბადის უმაღლესი დონის მომავალ შეხვედრას. „შეხვედრაზე გადაწყდება ეკონომიკური კავშირის შესახებ ხელშეკრულების რეალიზაციის საკითხები“, — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი მდივნის ივანე კოროტჩენის ინფორმაციის ციტატა მოჰყავს სატელევიზიო არხის „ოსტანკინოს“ „ნოვოსტის“. მხარი დაუჭირა რა შეთანხმებული ანტიმონოპოლური პოლიტიკის შესახებ საკითხის გადაჭრას, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პრობლემამ შეიძლება მძაფრი კამათი გამოიწვიოს.

თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა მხარი დაუჭირა „მოქნილი მექანიზმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შეკავშირებას“, „უწინდელი კონცეფციების გადასინჯვას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით“. ეკონომიკური კავშირის შესახებ ხელშეკრულების პრაქტიკული რეალიზაციის თაობაზე წინადადებებით მიემგზავრება ბელარუსის დელეგაცია აშგაბადში, აღნიშნა „ნოვოსტიმ“.

აშგაბადის შეხვედრის დღის წესრიგის ძირითად საკითხებად რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერს ალექსანდრე შოხინს მიაჩნია ეკონომიკური კავშირურთიერთობის აღდგენა, ფულადი სისტემების გაერთიანება, აღნიშნა რუსეთის ტელევიზიის „ვესტიმ“. ამასთან იგი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ეროვნული ვალუტების შემოღება ვიცე-პრემიერს მიაჩნია თანამეგობრობის ქვეყნების დაახლოების საჭირო ეტაპად.

უახლოეს ხანში ჩვენ სხვა საქართველო გვექნება

მოძრაობა — საქართველოს მოქალაქეთა კავშირი უცაბედად და მოულოდნელად არ შექმნილა. ეს მოძრაობა დუღდა ჭეშმარიტად ყველა ქართველის გულში, ვისაც კი „ერის წყლული აჩნდა წყლულად“, ვისაც კი სტკივა სამშობლოს ტკივილი, ვისაც კი აწუხებს მისი აწმყო და მომავალი. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სრულიად საქართველო დაიძრა ამ მოძრაობისაკენ. იგი არც ერთ პარტიას არ უპირისპირდება, მას ერთი ნათელი მიზანი აქვს — გაამთლიანოს საქართველო, გადაარჩინოს ქვეყანა. ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ ჭეშმარიტად თანამოაზრენი. მათ ერთი უპირატესობა აქვთ — იკისრეს პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის ბედისათვის. მხოლოდ ერთიანობა გადაარჩენს საქართველოს, მხოლოდ ნამდვილი წესრიგი იხსნის მას. — ეს სიტყვები წარმოთქვა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, პოეტმა რეზო ამაშუკელმა ვაკე-საბურთალოს რაიონების მოქალაქეთა კავშირის დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომელიც 22 დეკემბერს გაიმართა თბილისში. ეს აზრი თავისებურ რეფრენად გასდევდა ყველა ორატორის გამოსვლას.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დედააზრი მკაფიოდ გამოხატა ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ:

— ჩვენი კავშირი არ წარმოადგენს კიდევ ერთ პარტიას ან ერთ ჯგუფს, რომელიც ეწრაფვოდეს სათავეში ჩაუდგეს ქვეყანას და. ხელთ იგდოს ძალაუფლება. იგი არის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გადაარჩინოს ქართული სახელმწიფოებრიობა. ჩვენ სწრაფი რეაგირების კავშირი ვართ. ყველა საკითხი — შეეხება იგი პურს, ელექტროენერგიას თუ მწვავე სოციალურ პრობლემას — პოლიტიკურ საკითხად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ უნდა გადავწყვიტოთ პრაგმატული, რეალისტური მიდგომით. ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში დავამყაროთ წესრიგი, აღვკვეთოთ ბანდიტიზმი, ტერორიზმი, განუკითხაობა და ქაოსი. ან გავიმარჯვებთ, ანდა საქართველო დაიღუპება.

დამფუძნებელ კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— ასეთი კავშირის შექმნა,— თქვა მან, — ჩვენმა ძნელმა დრომ განსაზღვრა, ჩვენ კონსტრუქციულად უნდა ვითანამშრომლოთ ყველასთან, რათა ერთიანი ფრონტით გამოვიდეთ ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენი მოძრაობა — ეს არის რეალური ძალა, გარანტი ხალხის ერთიანობისა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა. მართალია, პოლიტიკური ძალის წელში გამართვისათვის საჭიროა 5-10 წელი, მაგრამ ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს, დრო არ ითმენს. ჩვენ სამ თვეში უნდა ჩამოვყალიბდეთ და შევქმნათ ისეთი ძალა, რომელიც სჭირდება დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოს. დღეს საქართველო სიდუხჭირეში ცხოვრობს და, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად გვეუბნებიან, მაგრამ გამოსავალი არ არსებობსო. ბევრი სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ გამოსავალი არის. ეს გამოსავალი საქართველოს ერთიანობაა. ერის განხეთქილებამ მიგვიყვანა ჩვენ აფხაზეთის დაკარგვამდე. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ერის გათიშვამდე ჩვენმა გამოუცდელობამ მიგვიყვანა. პოლიტიკურად მწიფე საზოგადოებას ეს არ დაემართებოდა. და რომ დღეს დაიწყო საზოგადოების გამთლიანება — ეს დიდი გამარჯვებაა. გამარჯვებაა ისიც, რომ ჩვენ დავამარცხეთ პროვინციული ფაშიზმი და ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ეს საქმე.

მჯერა, რომ ჩვენი მოსახლეობის 90 პროცენტი ყველაფერში გაერკვა. ხალხი აღარ გაჰყვება ბნელ ძალას, ეს კი იმის გარანტიაა, რომ ჩვენ დავძლევთ კრიზისს, დავიბრუნებთ აფხაზეთს. აფხაზეთის დაკარგვა, როგორც არაერთხელ მითქვამს, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა განაპირობა. საქართველოს მაგალითი გაკვეთილი უნდა იყოს სხვა სახელმწიფოებისათვის, რადგანაც ისეთ ინტელექტუალურ ქვეყანაშიც კი, როგორიც საქართველოა, თავის დროზე ხელისუფლების სათავეში ფაშიზმი მოექცა. მე არაერთხელ მივმართე რუსეთს, რომ მას გაეწია დახმარება საქართველოსათვის, რადგან აქ დატრიალებული მოვლენები ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა თვით რუსეთს. და ასეც მოხდა — ფაშისტური რეჟიმი დღეს რეალური საფრთხე გახდა რუსეთისათვის. ირონიას იწვევდა ჟირინოვსკის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები რუსეთის გუბერნიად უნდა გადაქცეულიყო. მისი სიტყვები, რომ ფინეთი უნდა დაიბრუნოს რუსეთმა, ფინელ პოლიტიკოსებში, მეტი რომ არა ვთქვათ, სიცილს იწვევდა. ამჟამინდელი თავისი საარჩევნო კამპანია კი ჟირინოვსკიმ ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების რუსეთის გუბერნიებად გადაქცევის ნიშნით ჩაატარა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ოსტანკინოს“ და რუსეთის ტელევიზია მას ხშირად და ხანდახან დღეში რამდენჯერმე უთმობდა საეთერო დროს, დარწმუნებული იმაში, რომ ხალხი გაიგებდა, თუ რას წარმოადგენს ჟირინოვსკი და არ მისცემდა მას ხმას. მოხდა კი პირიქით: აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მზად იყო გაეზიარებინა ჟირინოვსკის იდეოლოგია. ეს დამაფიქრებელი ფაქტია.

ჩვენ შეცდომები გულუბრყვილობით მოგვივიდა, მაგრამ მთავარია, ვაღიაროთ ის შეცდომები. ჩვენ შევცდით, როცა გამსახურდიას მივეცით ხმა. ნურავის ეწყინება, მაგრამ ჩვენ ერთი სენი გვჭირს — ზედმეტი წარმოდგენა გვაქვს საკუთარ თავზე. ამ ცოტა ხნის წინათ, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, — წავიკითხე სტატია სათაურით „საქართველო და ფაშიზმი?“. ჩვენ არ გვჭირდება ასეთი იაფფასიანი პოლიტიკური დივიდენდები. თენგიზ აბულაძემ თავისი გენიალური შედევრით „მონანიება“ აღამაღლა ქართველი ერი, რადგან მას არ შეეშინდა და სიმართლე თქვა. რეჟისორმა სახელი გაუთქვა მის მშობელ ხალხს, რომელმაც ჭეშმარიტად მოინანია თავისი შეცდომები. ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც გერმანიაა, ჰიტლერმა მოახერხა ჩაეგდო ხელში ხელისუფლება და რამდენიმე ათეული წელიწადია გერმანელი ხალხი ინანიებს ჰიტლერიზმს.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: მე გამოვეცი ბრძანებულება, რომ ყველა სამინისტრომ, უწყებამ, დეპარტამენტმა წარმოადგინოს კრიზისის დაძლევის თავისი პროგრამა. მაგრამ, ამთავითვე ვიტყვი, აღორძინებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, თუ არ აღდგა კავშირი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, და, პირველ რიგში, რუსეთთან. არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის, უნდა განვსაზღვროთ, რომ რუსეთთან დაახლოების გზა სწორია. უნდა ვუთხრათ მოსახლეობას, რომ კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანისათვის გვაქვს რესურსები და რეზერვები. ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. ჩვენ კი ამ სიმდიდრის მხოლოდ 8 პროცენტი გვაქვს ათვისებული. ამ რესურსების გონივრული გამოყენება მოხსნის ენერგეტიკულ პრობლემებს, რის გარეშეც კრიზისიდან გამოსვლა წარმოუდგენელია.

სწორედ ამ დღეებში შევხვდი ამერიკელ, ავსტრიელ, გერმანელ ბიზნესმენებს. ისინი თანახმა არიან განახორციელონ ნავთობის საძიებო სამუშაოები. უნდა გვახსოვდეს, რომ უცხოელი ბიზნესმენი ტყუილუბრალოდ არ შეეჭიდება საქმეს, თუ დარწმუნებული არ არის მის შედეგში. მაგრამ ისინი ერთხმად ითხოვენ წესრიგს, სტაბილურობას. იქნება წესრიგი — იქნებიან ინვესტორებიც. ამას გარდა, ჩვენი ბიზნესმენებიც დაუბრუნდებიან საქართველოს.

წესრიგის აღსადგენად ზოგიერთი რამ უკვე გაკეთდა. პრაქტიკულად ხელახლა შეიქმნა უშიშროების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები, შეიქმნა შინაგანი ჯარები. აუცილებლად გვჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა. საზოგადოებამ არ უნდა დაინდოს დამნაშავეთა სამყარო. ხშირად გაიგონებთ, ხელისუფლება უსუსურია დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგო. მაგრამ, თუ თბილისი ისე დადგა ფეხზე, როგორც მაშინ, როცა ქუთაისისაკენ დაიძრა ბნელი ძალა, მაშინ დამნაშავეთა სამყაროსაც ბოლო მოეღება. როგორც ამბობენ, მიწა უნდა იწვოდეს დამნაშავეთა ფეხქვეშ.

საქვეყნოდ ვაცხადებ: უკანონო შეიარაღებულ ძალებს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. ასევე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვუცხადებ მაფიოზურ და კრიმინალურ ძალებს. ჩვენ უთუოდ დავამყარებთ წესრიგს და ნახევარ წელიწადში საქართველო სხვა ქვეყანა გახდება.

სახელმწიფოს მეთაურის აზრით სხვა პრობლემათა შორის, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წინაშე დგას, არის ქალთა მოძრაობასა და ახალგაზრდულ მოძრაობაზე ზრუნვა და მათი მხარდაჭერა. განსაკუთრებული ყურადღების საგანია ლტოლვილთა პრობლემა.

— პოლიტიკანები ცდილობენ ააზვირთონ სოციალური აფეთქების ახალი ტალღა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — მაგრამ ქართველი ხალხი ბრძენია, მას კარგად ესმის ჩვენი გაჭირვება და არ აჰყვება ამ მედროვეებს. ჩვენი მხრიდან კი საჭიროა მეტი სითბო, მზრუნველობა, მუდმივი დიალოგი ამ ადამიანებთან, რომლებიც ჩვენი სისხლი და ხორცია. დღეს ლტოლვილებს ყველაზე მეტად უჭირთ.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მუდმივი ყურადღების ცენტრში კვლავ რჩება აფხაზეთი. ისმის ხმები: არავითარი დიპლომატია, უომრად ვერ გადაწყდება აფხაზეთის საკითხი. მაგრამ მხოლოდ უგუნური იტყვის უარს საკითხის პოლიტიკურ მოწესრიგებაზე. მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ეს საკითხი მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაწყდეს. მე ღრმად მწამს, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ამ პრობლემებს მოუვლის.

• • •

დამფუძნებელ კონფერენციაზე აირჩიეს ვაკისა და საბურთალოს რაიონების სათათბიროების წევრები და მათი თავმჯდომარეები.

განგაშის ზარი

გიგანტს უჭირს, მივეშველოთ!

4 დეკემბერს მეფრინველეობის საკითხებზე გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე ითქვა, რომ ამ გაჭირვების ჟამს, მართალია მეფრინველეობას ბევრი რამ აწუხებს, ასე თუ ისე, მაინც ჩნდება მაღაზიების დახლებზე ფრინველის ხორცი და კვერცხი. ამ პროდუქციით თბილისელების მომარაგება 20 დეკემბრიდან კიდევ უფრო ინტენსიურად გაუმჯობესდება.

— როგორია საახალწლო ვაჭრობის დღეებში გორის რაიონის მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის წვლილი? — ვკითხე ფაბრიკის დირექტორს გიმერი ბერძენიშვილს.

— ყოველდღიურად 1 ტონა ფრინველის ხორცი და 10 ათასი ცალი კვერცხი, თუ, რა თქმა უნდა, „გარედან“ შეფერხებები არ იქნება.

სამწუხაროდ, ასეთი შეფერხებები არის.

მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა ახლა რომ დღეშია ჩავარდნილი, მტრისას. ეს ის გიგანტია, ადრე დედაქალაქის მოსახლეობას კვერცხითა და ფრინველის ხორცით რომ ამარაგებდა. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მეტადრე 90-იანი წლებიდან, უკუღმა დატრიალდა ქვეყნის ეკონომიკის ბორბალი და მას აქეთ წელში ვეღარ გავიმართეთ.

1989 წელს მეჯვრისხეველმა მეფრინველეებმა 58 მილიონი ცალი კვერცხი და 1200 ტონა ფრინველის ხორცი აწარმოეს. ფაბრიკაში იმ დროს 300 ათასი კვერცხმდებელი ფრინველი და 400 ათასი სარემონტო მოზარდი ჰყავდათ...

ყველა ეს ციფრი სამი მეოთხედით რომ შევამციროთ, ფაბრიკა-გიგანტის დღევანდელ სახეს მივიღებთ. ფაბრიკის თავკაცს სისტემაში წარმოების კარგ ორგანიზატორად იცნობენ, მაგრამ რა ქნას კარგმა დირექტორმა, ფრინველის საკვები, ენერგოშემცველები და მედიკამენტები დროზე თუ არ მოვა?!

— დიდი გაჭირვებითა და ძალისხმევით, მაგრამ მაინც შევძელით ფაბრიკისთვის აგვერიდებინა ეს უმიზნო ნგრევა-გაპარტახება, რომელიც ჩვენში ეროვნული მოძრაობის აუცილებელი „ორნამენტი“ გახდა, — ამბობს გიმერ ბერძენიშვილი, — წლეულს, მარტიდან მოყოლებული „ამ ქვეყნისაკენ“ ვიბრუნეთ პირი, ნელნელა ფეხზე ვდგებით. დღეისთვის ფაბრიკაში 120 ათასი სარემონტო მოზარდი და 80 ათასი კვერცხმდებელია. მათ შორის სადედე გუნდი 40 ათასი ფრთით განვაახლეთ.

მეჯვრისხეველ მეფრინველეებს კიდევ უკეთ იქნებოდათ საქმე, რომ არა უხარისხო კომბინირებული საკვები, რომელსაც გორის წისქვილკომბინატიდან იღებდა. თავის მხრივ, წისქვილკომბინატში საკვების კომპონენტები — თევზის ფქვილი, ცხოველური ცილები, ძვალ-ხორცის ფქვილი ადრე რუსეთისა და ბელარუსის ქალაქებიდან შემოდიოდა. დღეს ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. აწმყო და მომავალი კი, თუ ძველი ეკონომიკური კავშირები არ აღდგა, მეფრინველეებს კარგს არაფერს უქადის.

ფაბრიკის მუშაობაზე მძიმე გავლენას ახდენს ენერგომატარებლების უქმარისობა. გამორთავენ შუქს — აღარც სითბოა, აღარც წყალი, აღარც განათება. ნოემბერში ელექტროენერგიის 51-ჯერ შეწყვეტამ საერთო ჯამში 144 საათი და 35 წუთი შეადგინა, 1-დან 10 დეკემბრამდე — 85 საათი და 35 წუთი. შუქი 19-ჯერ გამორთეს, ამის შედეგად, უვარგისი გახდა ინკუბატორში ჩადებული 60 ათასი კვერცხი, დაიღუპა ყველაზე პატარა ასაკის 16 ათასი წიწილა, 80 ათასი მოზარდი და ზრდასრული ფრინველი, კვერცხის წარმოება ყოველდღიური 13 ათასიდან 1300 ცალამდე შემცირდა. ზარალი მილიარდ კუპონზე მეტია.

და მაინც, მეფრინველეები ქედს არ უდრეკენ სიძნელეებს. შიდა რეზერვების გამოყენებით ბევრ სასიკეთო საქმეს დაადგეს თავი. მოსახლეობისაგან შეიძინეს სიმინდის მარცვალი, კომბოსტოს ნარჩენები, აგარის შაქრის კომბინატიდან შემოიტანეს ჭარხლის ბადაგი. ამ კომპონენტებით ამდიდრებენ საკვებს და ფრინველს აძლევენ. საკვების კარგი რეზერვია აგრეთვე ფაბრიკის ბალანსზე რიცხული 24 ჰექტარი სავარგული. წლეულს ამ ფართობიდან 150 ტონა იონჯა დაამზადეს და მწვანე საკვებად გამოიყენეს. ზემდგომ ორგანოებში მიღწეული თანხმობა მეფრინველეობის ფაბრიკისათვის 100 ჰექტარი ფართობის გამოყოფის შესახებ, სამწუხაროდ, დღემდე რეზოლუციადადებულ დოკუმენტებად რჩება. ეს რომ მოგვარებულიყო, იგი კიდევ უფრო გაზრდიდა ფრინველის წონამატსა და პროდუქტიულობას — მეტი მწვანე მასა მეტი ხორცი და კვერცხია.

ფაბრიკაში მიაღწიეს შიგნეულთან და ბუმბულთან ერთად დახოცილი ფრინველის დაწვის შედეგად ძვალ-ხორცის ფქვილის მიღების ტექნოლოგიის შემუშავებას, ესეც სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს.

ფაბრიკას აქვს სადედე გუნდი — 40 ათასი მოქცეული — და მუშაობაში ელემენტარული პირობების შექმნით შესაძლებელი გახდება ყოველდღიურად 20 ათასი საინკუბაციო კვერცხის წარმოება, რომელიც, სავსებით, მთლიანად უზრუნველყოფდა საინკუბაციო კვერცხებზე ქართლის რეგიონის მეფრინველეობის ფაბრიკების მოთხოვნილებას და უცხოეთიდან მისი შემოტანა აღარ დაგვჭირდებოდა, რაც ამდენი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა.

ფაბრიკის თავკაცებთან ბევრ საჭირბოროტო საკითხებზე ვისაუბრეთ.

მოულოდნელად შუქი ჩაქრა. არ გაგვკვირვებია. ერთმანეთს სიბნელეში დავემშვიდობეთ.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

პირველი სვეტი

კვლავ დაკავებული ჰყავთ ქართველი ტყვეები

22 დეკემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს სამხედრო ტყვეების, მძევლებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულების პრობლემათა რესპუბლიკური კომისიის სხდომა. სხდომას უძღვებოდა კომისიის ხელმძღვანელი, ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ხანდრო კავსაძე.

ინფორმაცია მდინარე ენგურის ხიდზე სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ გააკეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პაატა ზაქარეიშვილმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ სამხედრო ტყვეთა გაცვლის თვით პროცესმა საერთოდ ნორმალურად ჩაიარა. მისი თქმით, აფხაზთა მხრიდან შესაბამის კომისიას თავისი მისია დამთავრებულად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ მას მეტი აღარა ჰყავს სამხედრო ტყვეები. სინამდვილეში კი, თქვა პ. ზაქარეიშვილმა, ქართველთა მხარის ხელთ არსებული მონაცემებით, დღემდე აფხაზებს ტყვედ ჰყავთ კიდევ 60-მდე კაცი.

გოჩა აბლოთია,
თენგიზ პაპკორია.

●

თევდორე რეუტი ბათუმში

21 დეკემბერს ბათუმში ჩავიდა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი თევდორე რეუტი. იგი შეხვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს. აი რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სარდალმა:

— ეს არის ჩვეულებრივი მოგზაურობა ჯარებში, რომლებიც ახალი საწვრთნო წლისათვის ემზადებიან. ამას გარდა, შეიძლება ითქვას, რომ აქ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ამუშავდა საავტომობილო ტექნიკის შემკეთებელი ახალი სამქრო და ახალი საქვაბე, რომელიც საშუალებას იძლევა არა მარტო უზრუნველყონ ტექნოლოგიური პროცესი, არამედ აგრეთვე მიაწოდონ სითბო მახლობლად მდებარე საცხოვრებელ უბნებსა და ობიექტებს. ამიერკავკასიაში მყოფ რუსეთის ჯარების ჯგუფში ღონისძიებათა შეზღუდვის გამო, ჩვენ ზოგიერთ ნაწილს ქუთაისიდან ბათუმის რაიონში გადავიყვანთ.

●

მარტოხელა ავადმყოფთათვის

ჰუმანიტარული დახმარება — დაახლოებით მილიონი დოლარის მედიკამენტები მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ინგლისის ბაპტისტთა ორგანიზაციისაგან. მედიკამენტები განკუთვნილია სტაციონარში (რომელსაც მფარველობს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება) მარტოხელა ავადმყოფთა მკურნალობისათვის.

ამ დღეებში

გაგაცნობენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტში

ევროთათბირში საქართველოს წილის გადახდის შესახებ

ევროთათბირის კონფლიქტების აღკვეთის ცენტრიდან მიღებულ ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის წილის გადახდას ევროთათბირის მისიათა ბიუჯეტების დაფინანსებაში, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდიდან ავსტრიის ბანკის 696136704 ანგარიშზე გადაირიცხა 5131,60 ავსტრიული შილინგი, მათ შორის საქართველოს მისიისთვის — 1624,00 და ქალაქ სკოპიეს მისიისთვის— 3507,60 ავსტრიული შილინგი.

სამთავრობათაშორისო შეთანხმებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემდეგ სამთავრობათაშორისო შეთანხმებათა დამტკიცების შესახებ: შეთანხმება შიდა ნაოსნობის შესახებ; შეთანხმება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ; შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ომში დაღუპულ გერმანელთა საფლავების შესახებ; შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა აცნობოს გერმანულ მხარეს ამ დადგენილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ შეთანხმებათა ძალაში შესვლისთვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულების შესახებ.

სასურსათო ხორბლის შესაძენად სახსრების გამოყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციას ყაზახეთის რესპუბლიკიდან სასურსათო ხორბლის შესაძენად გამოეყო 20 მილიარდი კუპონი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 29 ნოემბრის 240 ბრძანებულებით დადგენილი სახელმწიფოს დეფიციტის შესავსებად განსაზღვრული დამატებითი საკრედიტო ემისიის ფარგლებში.



საქართველოს რესპუბლიკის
ეროვნული ბანკის გამგეობის

დადგენილება

საქართველოს ეროვნული ბანკის 50 ათასი ღირებულების ნომინალის კუპონის მიმოქცევაში გაშვების შესახებ

1) გაშვებულ იქნეს მიმოქცევაში საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი 50 ათასი ღირებულების ნომინალით.

აღნიშნული ნომინალის კუპონის მხატვრული გაფორმება და ზომა იდენტურია 25 ათასი ღირებულების კუპონისა. კერძოდ, ღირებულების წარწერა გამოხატულია ციფრებით და სიტყვებით, მითითებულია გამოშვების წელი — 1993, ფულის ნიშნის ორივე მხარეს თვალნათლივ შეიმჩნევა ფერადი ბოჭკოები. მათი განმასხვავებელი ნიშანია ფერი.

50 ათ. ღირებულების კუპიურის გასაფორმებლად გამოყენებულია აგურისფერი.

2) ეს დადგენილება ახალი ნომინალის კუპონის ფოტოასლებთან ერთად გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი
ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1993 წლის 22 დეკემბერი.



მართლმსაჯულების სადღეისო საზრუნავი

1993 წლის 22 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **მინდია უგრეხელიძე**. განიხილეს დადგენილებათა პროექტები „საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე“, „ქურდობის საქმეებზე“, „საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების შესახებ“.

პლენუმმა შეიმუშავა სახელმძღვანელო განმარტებანი საგანგებო წესების მოქმედების პირობებში მოსახლეობისათვის უაღრესად საჭირბოროტო საკითხებზე სწორი და სტაბილური სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად. მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

გადაწყდა, საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტს წარედგინოს წინადადებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის.

მოხსენებით გამოვიდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **მინდია უგრეხელიძე**, თავმჯდომარის მოადგილე **გრიგოლ დევდარიანი**, უზენაესი სასამართლოს წევრები **ლენგერ ბოჭორიშვილი** და **მურმან ისაევი**, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების უფროსი **ლამარა ჩორგოლაშვილი**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯამლეთ ბაბილაშვილი** და იუსტიციის მინისტრი **თედო ნინიძე**.

პირობების გასაუმჯობესებლად

კახეთის რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების უმოკლეს ვადაში გამოსწორების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ოთარ ფაცაციასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი ხელმძღვანელობს.

22 დეკემბერს გამართულ ჯგუფის სხდომას, რომელსაც ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი თავმჯდომარეობდა, ესწრებოდნენ სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელები. ვიცე-პრემიერის მოთხოვნით წარმოდგენილი იქნა რეგიონისთვის საარსებო მნიშვნელობის ობიექტთა სია, რომელთა მუშაობასა და დაცვაზე დაწესდება კონტროლი.

ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის წინადადებით, გადაწყდა პარასკევს, 24 დეკემბერს, ჯგუფის წევრები თელავში გაემგზავრონ და ადგილზე გაეცნონ ვითარებას.

საქართველოს პარლამენტის კომისიებში

22 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეკონომიკის საკითხთა კომისიის სხდომა, რომელსაც ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ წიკლაური ხელმძღვანელობდა. განიხილეს სადღეისო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის საქმეს. გადაწყდა, რომ ამ საკითხთა ერთი ნაწილი გაიტანონ პარლამენტის სხდომაზე განსახილველად.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ თავის მოხსენებაში გააანალიზა საქართველოში პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობა და წარმოადგინა წინადადებები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს.

22 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა ამ კომისიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი. საორგანიზაციო საკითხებთან ერთად იმსჯელეს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე განსახილველად გასატან საკითხებზე: საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ, სამართალდარღვევათა და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, კანონპროექტზე „საპარლამენტო ფრაქციების შესახებ", საქართველოს მინისტრთა კაბინეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

აქტუალური ინტერვიუ

სვანეთი უბედურების ზონად რჩება

სვანეთის თოვლიანი უღელტეხილებით აფხაზეთიდან დევნილმა ასი ათასმა ადამიანმა გაიარა წამების გზა. ამ კუთხის სტუმართმოყვარე, გულდინჯი და ამტანი ხალხი 9 ათასამდე ლტოლვილთან ერთად შეხვდა უმკაცრეს ზამთარს. როგორ ცხოვრობს დღეს სვანეთი? ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს მესტიის რაიონის დეპუტატთან, პარლამენტის წევრთან ლია ცინდელიანთან.

— ქალბატონო ლია, თქვენ სვანეთის იმ მძიმე დღეების უშუალო თვითმხილველი ხართ.. როგორ გადაიტანა გაჭირვებაში მყოფმა სვანეთმა ეს ტრაგედია და. რით ცხოვრობს ამჟამად ეს კუთხე?

— სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზეთში მცხოვრებ ასი ათასზე მეტი ადამიანისთვის სვანეთი ერთად-ერთ იმედად იქცა. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სვანეთმა ამ ურთულეს გამოცდას თავი შეძლებისდაგვარად კარგად გაართვა და თითოეულ ლტოლვილს გულის სითბო უწილადა.

ჩვენ ტრაგედიის უშუალო მოწმენი გავხდით. ყოველდღიურად იღუპებოდნენ ჩვილი ბავშვები, ქალები, მოხუცები. მერწმუნეთ, რომ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, 300-კომლიანი სოფელი ჭუბერი რომ არა. ამ სოფელმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. გათოშილი ხიზნების ევაკუაციისთვის მობილიზებული იყო ყველა შენობა-ნაგებობა. სოფელში არ დარჩენილა ოჯახი, სადაც დღე-ღამურად 60-75 ადამიანი არ ყოფილიყო შეხიზნული. შეიქმნა სოფლის საგანგებო შტაბი ირაკლი ვიბლიანის თავკაცობით. დღე და ღამე ფეხზე იდგა ბატალიონი „სვანეთი" (უფროსი — თამაზ ნარსაკიძე). სოფლის მოსახლეობამ გარეთ გამოიტანა თავისი სარჩო-საბადებელი. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი რაიონი. დიდი საქმე გააკეთა რესპუბლიკურმა შტაბმა ბორის სარალიძის ხელმძღვანელობით. ორგანიზებულად მუშაობდნენ რაიონის გამგეობა, საპარლამენტო წარმომადგენლობა.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა ვთქვა რაიონის საზოგადოების უდიდეს ძალისხმევაზე. იმ ურთულეს მომენტში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცალკეული პიროვნებების ენთუზიაზმი, ინიციატივა და თავდადება. თავიანთი კაცური ვალი მოიხადეს სპორტსმენებმა, რობიზონ და გივი ჯაფარიძეების თავკაცობით, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე გაწამებული ხალხის ევაკუაციას ემსახურებოდა სულნათელი ვაჟკაცი ალი კორძაია, უზარმაზარი მუშაობა გასწია ჭუბერის გამგებელმა ზაურ ვიბლიანმა. დასანანია, რომ ყველას დამსახურებაზე ვერ ვისაუბრებ, ისინი კი მრავლად არიან.

ამჟამად რაიონი მასპინძლობს 9 ათასამდე დევნილს. სამწუხაროდ, მწარე სიმართლეა: იმ დღიდან, რაც შეწყდა ლტოლვილთა ევაკუაცია უბედურების ზონიდან, სვანეთისაკენ აღარავის მიუხედავს. ახლახან დავბრუნდი იქიდან და მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ რაიონი ამჟამად აბსოლუტურად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ფაქტობრივად იგი კვლავ რჩება უბედურების ზონად. უკვე ყურიც მიეჩვია ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სვანეთს არა აქვს სატელეფონო კავშირი, არ იღებენ ტელეგადაცემებს, ბლოკირებულია ზუგდიდი-მესტიის გზა, არ არის საწვავი, პური და მედიკამენტი.

ვესაუბრე კავშირგაბმულობის მინისტრს. უიმედო პასუხი მივიღე. მართალია დღეს, როდესაც დედაქალაქს ასე უჭირს, სვანეთის პრობლემები აღარ გვაშფოთებს, მაგრამ ყოფილი უბედურების ზონა, რომელმაც თავის მხრებზე გაატარა ამდენი გატანჯული ადამიანი, მორალურად, ფიზიკურად და ეკოლოგიურად გაპარტახებული დარჩა.

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების შესაბამისად, მესტიის რაიონის ფქვილის მარაგი 2100 ტონით განისაზღვრა. ის რაოდენობა პრემიერ-მინისტრმა გაანახევრა. პირადად ჩემთვის ეს ფაქტი ყოვლად გაუგებარია და მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომასაც იწვევს. დღემდე არ გამოუყვიათ არავითარი დახმარება რაიონში მცხოვრები ათასობით დევნილისთვის.

— როგორც ცნობილია, სვანეთს იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო და რესპუბლიკური ჰუმანიტარული დახმარება გაუწიეს...

— საერთაშორისო და რესპუბლიკური დახმარების პროცესებს მთლიანად მართავდა რესპუბლიკური შტაბი. მინდა ამთავითვე აღვნიშნო, რომ მან ტვირთების განაწილებასა და ადგილამდე მიღწევას სათანადო კონტროლი ვერ გაუწია. არც დახმარების ისეთი სიუხვე და მრავალფეროვნება იგრძნობოდა, როგორც ცხადდებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება საწვავს. ცნობილი 150 ტონა საწვავის ნაცვლად რაიონამდე მხოლოდ მესამედი მივიდა. ამჟამად რაიონი საწვავის უმწვავეს დეფიციტს განიცდის.

როდესაც დახმარებაზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა მათ, ვინც გაჭირვების პირველი დღიდან დაგვიდგა გვერდით. რაიონებიდან პირველი გამოგვეხმაურა ახალციხის რაიონი ბატონ მერაბ სამსონიძის ინიციატივით. ასევე შეიძლება ითქვას დედოფლისწყაროზე, გარდაბნის, მარნეულის რაიონებზე. საგანგებოდ უნდა ვთქვათ ქუთაისზე და მის მერზე ბატონ თემურ შაშიაშვილზე. ქუთაისი ისედაც სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენს სვანეთისათვის. ამ ეტაპზე კი/მისი მატერიალური და მორალური დახმარება მართლაც ფასდაუდებელია. მთელი დატვირთვით მუშაობდნენ ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტები. უდიდესი დახმარება გაგვიწია მრეწველობის სამინისტრომ, თბილისის საავიაციო ქარხნის დირექციამ. ხელი შემოგვაშველეს კერძო ფირმებმა, კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლებმა, რიგითმა მოქალაქეებმა, რომელთა ჩამოთვლა მართლაც შორს წაგვიყვანდა.

— იმ ტრაგიკულ დღეებში ცნობილი გახდა ლტოლვილების ძარცვის სამარცხვინო ფაქტებიც. რას იტყოდით ამის და საერთოდ რეგიონში შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის შესახებ?

— როდესაც იძულებით გადაადგილებას ასეთი მასობრივი ხასიათი და მასშტაბები აქვს, მას ყოველთვის ახლავს ნეგატიური მომენტებიც. სამწუხაროდ, იმ დროისათვის საქართველოს ყველა კუთხიდან სვანეთისაკენ დაიძრა ყველა ჯურის ბანდიტი და ყაჩაღი. ბანდიტი ბანდიტია, იგი არც სვანია და არც მეგრელია. ლტოლვილების ძარცვის სამარცხვინო ფაქტებში არავითარი წვლილი არ მიუძღვით ადგილობრივ მოსახლეობას. ეს უნდა გაიგოს მთელმა რესპუბლიკამ. ამ უკეთურ საქმეს სჩადიოდნენ კაცობადაკარგული გარეწრები. სვანეთის მცხოვრებლებზე ამის გადაბრალება უდიდესი ცოდვაა და მიუღებელია როგორც რიგითი მოქალაქეების, ისე პარლამენტის წევრების მხრიდანაც.

რაც შეეხება რაიონის კრიმინოგენურ ვითარებას, უნდა ითქვას, რომ სვანეთში დაგროვდა დიდი რაოდენობის იარაღი, რაც სრულიად უმართავს ხდის დანაშაულებრივ სამყაროს. თუ ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით იქ არ შევქმნით შინაგანი ჯარის ნაწილს, მაშინ შესაძლებელია სიტუაცია უფრო გამწვავდეს. ამდენად ამ ნაბიჯის გადადგმა მართლაც საშურ საქმედ მიმაჩნია.

ესაუბრა
თამილა ჯაფარიძე

უკვე ხუთი წელიწადია, ქვეყანა ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობს. შინაგანი წინააღმდეგობანი და გათიშულობა, სოციალურ-პოლიტიკური განხეთქილება, ტრაგიკული მოვლენები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სადაც მრავალი თვის განმავლობაში მძვინვარებდა მომაკვდინებელი ომის ხანძარი, ყოფილი პრეზიდენტის ბანდფორმირებებთან ბრძოლები დასავლეთ საქართველოში... რაღაც ნახევარი ათწლეულის მანძილზე საქართველოში იმდენი ამბავი მოხდა, რამდენიც, ალბათ, უამრავ უფრო დიდ ქვეყანას ეყოფოდა.

ინფორმაციის წყარო—სტაბილიზაციისათვის

„მარგალიტის" ძიება: რა უწყობს და რა უშლის ხელს ამას?

ასეთ სიტუაციაში ადვილი როდია, მოიცვა მთელი საინფორმაციო სივრცე, რომელიც გთავაზობს უამრავ სხვადასხვა ფაქტს, ზოგჯერ, საპირისპიროს, ზოგჯერ საეჭვოსაც, მაგრამ მეტწილად, ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც რეალურად ასახავენ მდგომარეობას. ეს პროცესი მოგვაგონებს — სერიოზული და საფუძვლიანი ჟურნალისტური მუშაობის პირობებში — მარგალიტის ძებნას ნაგვის გროვაში, და ზოგჯერ ამას მოსდევს აშკარა დაბნეულობა, რადგან „მარგალიტის" ნაცვლად ჟურნალისტი, თავადაც რომ ეჭვი არაფერში ეპარება, წააწყდება მისთვის სასურველის საპირისპირო ცნობას. და ეს ხდება ზოგჯერ იმ ელემენტარული მიზეზით, რომ თავის მომქანცველ და დაძაბულ ძიებაში კორესპონდენტი მარტოდმარტო აღმოჩნდება ხოლმე იმ მოვლენის პირისპირ, რომელში გარკვევაც მარტოს არ შეეძლო და არც არავინ დაეხმარა, დამოუკიდებლად კი „ზუსტი ფაქტის" პრობლემის გადაჭრა ვეღარ მოასწრო. რატომ? ან რა მოსდევს ყოველივე ამას?

როცა ქვეყანაში ომია, როცა მწვავე დაპირისპირება არ ნელდება ხელისუფლების სტრუქტურებში, როცა „გარდამავალი ეტაპი", ყოველმხრივ დაძაბული ცხოვრებითურთ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უწყობს მკაცრ პროფესიულ გამოცდას, ინფორმაციული პროცესის მოუგვარებლობა ყოვლად დაუშვებელია. როცა დამოუკიდებელი სახელმწიფო მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრში მკვიდრდება სოციალურ და პოლიტიკურ გაჭირვებათა, კონფლიქტების პირობებში, გაუგებრობა არ შეიძლება არ ახლდეს ისეთ მნიშვნელოვან მექანიზმს, როგორიც არის საინფორმაციო უზრუნველყოფა. ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავთ, ალბათ, იფიქრებთ, ავტორს რაღაც ეშლება, რადგან გაზეთები და სააგენტოები ქვეყანას თითქოსდა ყურადღებას არ აკლებენ. უფრო მეტიც, გამოცემა იმდენია, რამდენიც ჩვენში არასოდეს ყოფილა, მაგრამ საუბარი ეხება არა რაოდენობას და არა იმდენად საშინაო საინფორმაციო ბაზარს, თუმცა, ეს თავისთავად მნიშვნელოვანია, რამდენადაც, უწინარეს ყოვლისა, საგარეოს.

ის, რასაც საქართველოში „საინფორმაციო ომს" უწოდებდნენ, ყველაზე გარკვეული სახით დაიწყო 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენათა შემდეგ. როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ახლად გამომცხვარი მმართველები, რომლებმაც ტრადიციულად ტოლერანტული საქართველო იზოლაციონალიზმის მორევში მოაქციეს, „მრგვალების" რეჟიმმა ცივილიზებულ სამყაროს გაუღვივა არა მარტო უნდობლობა, არამედ სიფრთხილეც სახელმწიფოსადმი, რომელმაც ასეთი საშინაო კურსი აირჩია, ასე რომ არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა მსოფლიო დეკლარაციის მოთხოვნებს. რაც შეეხება საგარეო კურსს, აქ ურთიერთდამოკიდებულება ცხადია და კომენტარებსაც არ საჭიროებს. სწორედ მაშინ, ჟურნალისტები რაც უნდა ცდილიყვნენ პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეექოთ და ხოტბა შეესხათ მისთვის, არავინ არ დაუჯერებდა, არც იმას ირწმუნებდა, რომ მაშინდელი პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ვითომდა დემოკრატიული აღმშენებლობით იყვნენ გართული. 1991 წლის საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება იმდენადვე ირონიული იყო, რამდენადაც კრიტიკული. არსებითად, არავითარი საინფორმაციო ომი არ ყოფილა, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა ადგები აბსოლუტურად წამგებიან და მიუღებელ პოლიტიკას, რამაც ქვეყანა და სახელმწიფო საცილო გახადა. შეუძლებელია გაუწიო საქონელს „რეკლამა", თუ თავიდანვე იცი, რომ საქმე ეხება წუნდებულ პროდუქციას.

მაგრამ დროება შეიცვალა, მსოფლიოც ჩვენსკენ შემობრუნდა და გაგვიღიმა, საქართველო მოკლე ხანში ცნეს, „საინფორმაციო პრობლემების" გადაჭრა კი ყოველთვის როდი ხერხდებოდა და ხერხდება.

ყოფილი სსრ კავშირის ფარგლებში საინფორმაციო სივრცეზე გარკვეულ გავლენას ახდენდა და ახდენს ცენტრალიზებულად მაუწყებელი ოსტანკინო. რუსეთის საინფორმაციო საშუალებებთან საქართველოს ურთიერთობა ბოლო წლების მანძილზე „ერთ კარში" თამაში იყო. ახლო საზღვარგარეთის არცერთ სახელმწიფოს არ შეეძლო წინ აღდგომოდა შერჩეული ფაქტებისა და სპეციფიკური კომენტარების შემოტევას — ამ ცოტა ხნის წინათაც კი, როცა რუსეთში ორხელისუფლებიანობა სუფევდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გარდაქმნისა და პოსტგარდაქმნის წლებში იდეოლოგიური ზემოქმედების ხანგრძლივ პერიოდზე. ოქტომბრის მიწურულს, მოსკოვში ორხელისუფლებიანობის პერიოდის კეთილად დამთავრების შემდეგ, საქართველომ თავის მიმართ პრინციპული შემობრუნება იგრძნო არა მარტო რეაქციის უღლისაგან განთავისუფლებული რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკაში, არამედ საინფორმაციო პოლიტიკაშიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაადვილდა დანარჩენი მსოფლიოსათვის სიმართლის მიწოდება საქართველოს ამბების შესახებ. სამწუხაროდ, ამას სრულფასოვნად ვერ ახერხებს ყველა და ყოველთვის.

ექსტრემალურ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, როგორც ადგილობრივ რედაქციებსა და სააგენტოებში მომუშავე ჟურნალისტების, ასევე საკუთარი კორესპონდენტების წინაშე, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ გაზეთებსა და სააგენტოებს გადასცემენ ინფორმაციებს, დადგა თავისებური ამოცანა — წერონ არა მარტო ზუსტად და მკაფიოდ, არამედ, სწრაფადაც. ამავე დროს, სასურველია, დაასწრონ კოლეგებს. ამ ახალი პრეცედენტის ნაკლი ჟურნალისტებისათვის, რომლებიც წინათ პარტიულ და კომკავშირულ გამოცემებში მუშაობდნენ, სადაც პასუხისმგებლობას სულ სხვა ხასიათი ჰქონდა, მხოლოდ თავდაპირველად გამოვლინდა, შემდეგ კი კალმოსნებმა შეძლეს ადაპტირება და „გამოწრთობაც" ახალ, თანაც საკმაოდ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში.

მაგრამ.. როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ტექნოლოგიური აზროვნების საფუძველთა თვალსაზრისითაც გარდაქმნილი კალმოსნები და ფოტორეპორტიორები (თუმცა, ამას ყველაზე ვერ იტყვი) ახალ სიძნელეებს წააწყდნენ.

ისეთი ინსტიტუტი, როგორიც საერთო-რესპუბლიკური პრესცენტრი, პრესკლუბია და სხვ., საქართველოში, უწინარესად — მის დედაქალაქში, დღემდე არ არსებობს. მეოთხე ხელისუფლება, თუ ეს განსაზღვრა მართლზომიერია, ჯერჯერობით მოკლებულია არა მარტო მატერიალურ აღჭურვილობას, არამედ სათანადო მობილურობასაც. პრესცენტრები, ჩვეულებრივ, იქმნება ამა თუ იმ დაგეგმილი მოვლენების გასაშუქებლად და მათ დამთავრებამდე არსებობს საორგანიზაციო კომიტეტებთან. თბილისელმა ჟურნალისტებმა, სხვათა შორის, დეკემბერ-იანვრის ომის დროს, გარესამყაროსთან და უზენაესი საბჭოს შენობაში ბუნკერის „მცხოვრებლებთან" პარალიზებული კავშირის მიუხედავად, გამონახეს ინფორმაციის გადაცემის საშუალება და საკმაოდ ოპერატიულად აღწევდნენ მიზანს.

ამ ორკვირიანი კოშმარის შემდეგ გამოირკვა, რომ არსაიდან აღარ შეეძლოთ ინფორმაციის გადაცემა, სანამ არ შეიქმნა „პრესსამსახურები" — ჯერ მინისტრთა კაბინეტის შენობაში, შემდეგ — სახელმწიფო საბჭოში. ზოგიერთ მათგანში ჟურნალისტებს, რომლებიც ჯერ არ მოგებულიყვნენ გონს, მთელი იმ ტრაგიკული ამბების შემდეგ, მანამდე კი განიცდიდნენ დევნასა და მუქარას ყოფილ ხელისუფალთა მხრივ, რატომღაც ზოგჯერ უცაცხანებდნენ და აბეზარი ბუზებივით თავიდან იცილებდნენ, იმის ნაცვლად, რომ მათთვის, ადგილობრივი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის მიეწოდებინათ ფაქტები, დახმარებოდნენ, გარკვეულიყვნენ დღენიადაგ ცვალებადი ვითარების თავისებურებებში. ამავე დროს, ჟურნალისტები აბეზარი ბუზები კი არ არიან, ისინი, უბრალოდ, სხვას ვერავის მიმართავდნენ. უჟურნალისტებოდ პრესცენტრები ისეთივე უაზრობაა, როგორც სკა უფუტკრებოდ. სხვათა შორის, ეს „ფუტკრები" ზოგჯერ იკბინებიან, და საკმაოდ მტკივნეულადაც, მაგრამ მანამდე აგროვებენ „ნექტარს" — სოციალურად სასარგებლო და საჭირო ინფორმაციას. და თუ მათ დახმარებაზე უარს ეტყვიან, თანაც არც ისე კვალიფიციურად და სისტემურად, სერიოზული პრობლემები წამოიჭრება. არ გავიხსენებ ახლო წარსულის უამრავ ფაქტს და სულ ახალ მაგალითს მოვიყვან:

3 ნოემბერს, საინფორმაციო არხებით გადაიცა ცნობა, რომლის თანახმად, ქალაქი ხობი აღებული იყო. მანამდე, ერთი დღით ადრე, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა, ხობში მთავრობის ჯარები შევიდნენ. ყველამ, ვინც კი მიიღო ეს ცნობა, „ოსტანკინოს", „ფრანს პრესისა" და სხვების ჩათვლით. ჟურნალისტებმა, რომლებმაც მოახერხეს საიმედო წყაროებს დაკავშირებოდნენ, შეცდომა თავიდან აიცილეს, დანარჩენები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

გამოირკვა, რომ იმათ, ვინც გამოაცხადა „ქალაქის აღება", ერთ-ერთი „ძალისმიერი" სამინისტროს პრესცენტრში მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „მთავრობის ჯარები შევიდნენ ქალაქში". სხვა განმარტება არ მიუღიათ. რეპორტიორი, რომ იტყვიან, „ანკესს წამოეგო"... და ამუშავდა „გაფუჭებული ტელეფონის" პრინციპი, რადგან „შესვლა" — ერთია, ხოლო „აღება" — მეორე. პროცესი ნახევარგზაზეა, მას კი დამთავრებულად აფასებენ. ინფორმაციის წყაროს, რომელმაც ცნობა გასცა, იგი არანაირად არ დაუზუსტებია და არ განუმარტავს, რის შედეგად გავრცელდა „ტყუილი", რომელიც მართალი ეგონათ... იმ შემთხვევებში, როცა ინფორმაცია არაკონდიციური ან საიდუმლოა, უმჯობესია პასუხი იყოს შესაბამისი, რომ იგი სწორედ „არაკონდიციურია" და სწორედ „საიდუმლოა". მაგრამ, როცა შეიძლება, გადაიცეს რაღაც, რაც ნამდვილად სწორია, უკეთესია, ბოლომდე ითქვას. არიან ისეთი ჟურნალისტებიც, რომლებიც, როცა არა აქვთ ახალი ამბები, ანდა დუმან საინფორმაციო წყაროები, ცდილობენ ფაქტები და კომენტარები ააგონ ჭორებისა და სხვადასხვა ვერსიების საფუძველზე. მათგან, ყველა როდია იმდენად თავქარიანი, რომ იმუშაოს პრინციპით „გაუგონიათ — ალია მოკვდაო..." მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა არა აქვთ „საზრდო", ისინი იძულებული ხდებიან, გამოძებნონ ისეთი შესაძლებლობანი, რომლებსაც ნებსით თუ უნებლიეთ შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ ქვეყანაც და სააგენტოებიც, რომლებისთვისაც ისინი მუშაობენ, და საკუთარი თავიც.

აქვე მოვიყვან მეორე მაგალითს, თუმცა, სულ სხვა მიზეზის გამო: იმ დღეს, როცა ოსტანკინომ გამოაცხადა, მდინარე ენგურზე ინციდენტი მოხდაო, რომელიც შემოწმების შედეგად უფრო ბლეფი გამოდგა, ვიდრე „მოვლენა", და როცა აფხაზეთის ეგრეთწოდებულმა თავდაცვის სამინისტრომ განცხადება გაავრცელა რაღაც „ხელყოფათა" შესახებ, შესაბამისი სამინისტროს პრესცენტრს არ ჰქონია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოხდა ან არ მოხდა. ჟურნალისტებს დღის განმავლობაში არ მიუღიათ არავითარი ზუსტი მონაცემები, და ამის შედეგად ოპერატიულად ვერ გამოეხმაურნენ მორიგ სეპარატისტულ გამოხდომას, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა საინფორმაციო საშუალებანი. შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ ასეთ შემთხვევებში, და პირობებში მუშაობის დროს პრეს-ცენტრების თანამშრომლებს, ჟურნალისტებს მეტი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა მოეთხოვება.

და კიდევ ერთი პრობლემა. ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც სამართლიანად უწოდებენ მათ, ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს თავის მოვალეობად მიაჩნია გამოეხმაუროს ჟურნალისტთა თხოვნას, როცა საქმე ეხება სერიოზულ საკითხებს და არა, ვთქვათ, სახელოვან ადამიანთა ინტიმურ ცხოვრებას, მადლობა ღმერთს, ჩვენს პრესას მაინცდამაინც არ აინტერესებს „მაღალი საზოგადოების ჭორები", პიკანტური და სხვა ხასიათის გატაცებანი.

ყოველ სახელმწიფო მოსამსახურეს, სამთავრობო და სხვა უწყება-ორგანიზაციათა თანამშრომლებს, უნდა ესმოდეთ, რომ ფაქტების კომენტირებაზე უარის თქმას არასასურველი შედეგები მოსდევს. ინფორმაციულ უსიამოვნებათა თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება იმის შეგნებაა, რომ საქმე ეხება პრესის წარმომადგენლებთან არა ფორმალურ ურთიერთობას, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს. მთავარი საშიშროება კი დეზინფორმაციაა, და აქ ჟურნალისტებს უფლება აქვთ ჰქონდეთ იმ თანამდებობის პირებთან თანამშრომლობის იმედი, რომლებიც არა მარტო ფლობენ ინფორმაციას, არამედ საკმაოდ კომპეტენტურიც არიან იმისათვის, რომ კომენტარი გაუკეთონ ამა თუ იმ მოვლენას.

მკაფიო და ზუსტი სურათის შექმნაში დახმარება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც იცნობს ვითარებას. ეს კომპეტენტური და მცოდნე კაცია. რასაც უნდა ეხებოდეს პრობლემა — საომარ მოქმედებას თუ ახალი „კოლგოტების" გამოშვებას, — კომენტარი უნდა იყოს ზუსტი, შეესაბამებოდეს მდგომარეობის არსსა და თავისებურებებს. ჟურნალისტებისათვის კომენტარის გაკეთებაზე უარის თქმით სპეციალისტები აშკარად დეზინფორმაციის ხელშეწყობის რისკს სწევენ. ეს კი ძალიან ხშირად და მეტწილ შემთხვევებში იმის გამო ხდება, რომ დუმან ინფორმირებული წყაროები, რომლებიც ინერციით არაფერს ამბობენ მაშინაც, როცა არ შეიძლება ინფორმაციის მიცემა საიდუმლო-სტრატეგიული მოსაზრებებით და მაშინაც, როცა სავსებით შესაძლებელია მისი მიცემა, მაგრამ თავი ისე უნდა დაიჭირონ, რომ არის მნიშვნელოვანი მიზეზები, რომ იგი არ გახმაურდეს. სინამდვილეში კი ისეც ხდება, რომ „წყაროები" ვერ ფლობენ ინფორმაციულ ვითარებას და არ იციან რა ხდება, იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც ასეთ ურთიერთობას გაურბიან, მინდა, ყოველგვარი პირფერობის გარეშე, შევახსენო, რომ, აშკარად ყველაზე უფრო დატვირთული თანამდებობის პირი ყოველ ორშაბათს აძლევს რადიოინტერვიუს, თვეში რამდენჯერმე გამოდის საქართველოს ტელევიზიით და ლამის დღეგამოშვებით ხვდება უცხოელ ჟურნალისტებს.

კორესპონდენტები უპატივცემულობას არ იმსახურებენ. მკითხველები და ფართო საზოგადოებრიობა — მით უმეტეს...

ნოდარ ბროლაძე.

ტერორიზმის ჯაჭვის ერთი რგოლი

სამართალი გზას პოულობს

დამნაშავე იმდენად იმეტებს თავს, რამდენადაც გამეტებული ჰყავს თავისი სამიზნე. დამნაშავის სინდისი მიძინებული აქვს და ზნეობითა და გონებით დაცემულს, წამოდგომა აზრადაც არ მოსდის.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ იმ სამმა ახალგაზრდამ: ნემო ჭანტურიამ (34 წლის), ჯემალ ახალაიამ (31 წლის) და დათო კაჭარავამ (28 წლის), რომლებიც საკმაოდ მძიმე ბრალდების გამო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე ირაკლი ბიბილაშვილი, სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერდა პროკურორი ნუგზარ ბეჟიტაშვილი) გაასამართლა, ბოლომდე თავი დამნაშავედ არ სცნო და საბოლოო სიტყვაშიც გამართლება მოითხოვა. ბრალად ედებოდათ: ჭანტურიასა და ახალაიას, როგორც შეიარაღებული ბანდის წევრებს, ადამიანების გატაცება, მძევლად აყვანა, ხოლო კაჭარავასთან ერთად — ბანდიტიზმი, ტერორისტული აქტების მცდელობა, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა.

დამნაშავენი კი თავს უდანაშაულოდ თვლიდნენ, ყოფილი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლა სამართლიანად მიაჩნდათ.

ნაწყვეტი ნემო ჭანტურიას ჩვენებიდან: „ჩვენ მიზნად გვქონდა დასახული სამეგრელოს რეგიონში ისეთი მდგომარეობა შეგვექმნა, რომ არსებულ ხელისუფლებას, მის სტრუქტურებს, რაიონის ხელმძღვანელობას, პოლიციასა და სამხედრო შენაერთებს არ მისცემოდათ ნორმალური ფუნქციონირების საშუალება იმიტომ, რომ, ჩვენი აზრით, არსებული ხელისუფლება იყო უკანონო, ხოლო მისი სამხედრო ფორმირებები უკანონობას სჩადიოდნენ.

ჩვენს შეიარაღებულ ფორმირებას მიზნად ჰქონდა დასახული, ჯაბა იოსელიანის, როგორც უკანონო ხელისუფლებისა და „მხედრიონის" წარმომადგენლის. განადგურება, ე. ი. მოკვლა, ამიტომ, როცა მოისმა ყვირილი ჯაბაა, ჯაბა, ესროლეთ! დაუფიქრებლად ავტეხეთ მანქანას სროლა".

და ნ. ჭანტურიამ ტყვიამფრქვევიდან გახსნა ცეცხლი. აკაკანდა ავტომატები, მაგრამ ჯაბა იოსელიანი იმ მანქანაში არ იჯდა...

ახლა უფრო დაწვრილებით:

პოლიტიკურმა აშლილობამ კარგა ხანია, მდუღარეთი დაგვაბანინა პირი. აგვრია და აგვწეწა, ორად გაგვყო და ერთმანეთს წაგვკიდა. ძმათა სისხლში ხელი გაგვასვრევინა, საზოგადო საქმეში პირადული გაგვარევინა და ვინც ბოლომდე ჩაითრია, გზა-ვალი აურია და საბოლოოდ გაწირა. როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ქვეყნის სტაბილიზაციისა და აღმავლობისთვის ზრუნავდა, მეორენი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე თუ ცალკეულ პირებზე თავდასხმისათვის შეიარაღებულ ბანდებს აყალიბებდნენ, და შარშან შეიქმნა სამეგრელოს რეგიონშიც შეიარაღებული ბანდა, რომლის წევრებიც იყვნენ ნემო ჭანტურია და ჯემალ ახალაია, მოგვიანებით ბანდას დათო კაჭარავაც შეუერთდა. ჰქონდათ იარაღი და სხვა თანარაზმელებივით ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. რაც მთავარია, საზოგადოებაში არეულობის შესატანად და ხელისუფლების წევრთა გასაჟლიტად იყვნენ გვარიანად შეგულიანებული. პირველად იმ ხანად, სამეგრელოში მყოფი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, „მხედრიონის" ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი ამოიღეს მიზანში. ხელსაყრელი დრო 9 ივლისი აღმოჩნდა. 20-25-კაციანი ბანდიტური ჯგუფი ჩხოროწყუდან წალენჯიხაში მიმავალ გზაზე სოფელ ჭგალთან ჩასაფრდა (ინფორმაცია ჰქონდათ: აქ უნდა გაევლო ჯაბა იოსელიანს). ჯგუფში ტყვიამფრქვევითა და ავტომატებით შეიარაღებული ნემო ჭანტურია და ჯემალ ახალაიაც იყვნენ. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ჯაბა იოსელიანი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, „ვოლგაში", რომელსაც შეიარაღებულმა ჯგუფმა ინტენსიური ცეცხლი დაუშინა, ჯაბა იოსელიანი არ იჯდა. მანქანაში, სამეგრელოს რეგიონში ვითარების შესასწავლად ჩასული, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ალექსანდრე კავსაძე, ჩხოროწყუს გამგებელი კანდიდ გოგუა და რაიონის მთავარი ექიმი ალექსანდრე მიქაია ისხდნენ..

დაცხრილული ავტომანქანა გზიდან გადაიჩეხა. შიგ მსხდომებმა, როგორც მოახერხეს, ისე დაუძვრნენ სეტყვასავით წამოსულ ტყვიას და მანქანიდან წყლის საწრეტ არხში გადახოხდნენ (მანქანას 15 ნატყვიარი აჩნდა). სასწაულებრივად გადარჩენილ ა. კავსაძეს, მძღოლ ა. მათიაშვილსა და ა. მიქაიას თავს შეიარაღებული ბანდიტები დაადგნენ (ამათგან ორი — ჭანტურია და ახალაია, ბატონმა სანდრო კავსაძემ ამოიცნო). ბანდის ერთ-ერთმა წევრმა თხრილში ჩაწოლილი გამგებელი წამოაყენა „ეს კანდიდ გოგუა არისო", თქვა და იქვე გამოასალმა სიცოცხლეს (სამწუხაროდ, მისი ვინაობის დადგენა დღემდე არ მოხერხდა. მკვლელობის საქმე დამატებითი ძიებისთვის დაუბრუნდა რესპუბლიკის პროკურატურას), დანარჩენები ლუგელას ხეობაში იძულებით გაიტაცეს. დატყვევებულებმა თავდამსხმელთა ლაპარაკიდან შეიტყვეს, რომ ტერორისტული აქტი მათთვის კი არა, ჯაბა იოსელიანისთვის იყო გამიზნული. თუმცა, მომხდარისთვის ბოდიში მათთვის არავის მოუხდია..

იქვე აფეთქდა „ვოლგა", რის გამოც, სახელმწიფო სამი მილიონი მანეთით დაზარალდა. იმ პირობით, რომ ალექსანდრე მიქაია რაიონის მმართველობით ორგანოებში აღარ ითანამშრომლებდა, თავდამსხმელებმა მეორე დღესვე, ხოლო მძღოლი მეხუთე დღეს გაათავისუფლეს. სანდრო კავსაძე კი თვეზე მეტ ხანს ატარეს ტყვეობაში.

შეიარაღებული ბანდის საქმე ამით, არ ამოწურულა. ახლა 11 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები იყო წინ და მისი ჩაშლისათვის უნდა ეზრუნათ. ამისთვის კი სამეგრელოს რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია იყო საჭირო. ამ მიზნით, 29 სექტემბერს ჩხოროწყუში შეიკრიბა ასკაციანი შეიარაღებული ბანდა და დილის 5 საათზე თავს დაესხა სენაკის თეატრის შენობაში მოთავსებულ პოლიციის ნაწილებს, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ადგილობრივი ხელისუფლების ნორმალური მუშაობისა და არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად იყვნენ მივლინებული. ბანდაში იყვნენ ჭანტურია, ახალაია და კაჭარავაც.

ბანდიტური თავდასხმისა და ტერორისტული აქტის განხორციელებისას, ბანდის წევრებმა მოკლეს 3 და დაჭრეს 4 პოლიციელი. დაზიანდა სენაკის ადგილობრივი მმართველობის, თეატრის, მოსწავლე-ახალგაზრდობის, აფთიაქისა და უნივერსამის შენობები, სახელმწიფოს 27 მილიონ 92 ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს.

იმავე დღეს, პოლიციის ნაწილების დასახმარებლად მისულმა თავდაცვის სამინისტროსა და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს სამივე ბანდიტი.

წერილის დასაწყისში წინასწარი გამოძიებისთვის ნემო ჭანტურიას მიცემული ჩვენება გავაცანით; ახლა სასამართლო პროცესზე მის ნათქვამს გეტყვით: ჯაბა იოსელიანის მოკვლა კი არა, ცოცხლად აყვანა გვინდოდაო.

საკვირველი თუ გინდათ, ეს არის. კაცის ცოცხლად ხელში ჩაგდება სურდათ და გამეტებით ესროდნენ?!.. სად არის ლოგიკა? სამაგიეროდ, არის სასჯელისგან თავის დაძვრენის უსაზღვრო სურვილი, რომელიც რას არ შეათხზვევინებს დამნაშავეს. სასამართლო პროცესზე ნემო ჭანტურიამ თქვა: — ტყვიამფრქვევი ერთხელ კი ვესროლე მანქანას, მაგრამ მერე ვაზნა გაიჭედა და აღარ გამისვრია. გოგუას მკვლელი? ღმერთო მომკალი, არ დამინახავს, ტყვე კავსაძის დაცვა ნამდვილად ვითავე, მისი ნივთები და საბუთებიც შევინახე, რომ შემდეგ დამებრუნებინაო. კავსაძის შურლაიაზე გაცვლის აზრი ლუგელას ხეობაში კი გამოითქვა, მაგრამ ეს რა ჩვენი საქმე იყო, ყველაფერს მაღალი კომპეტენციის პირები წყვეტდნენ. მერე რა, რომ პოლიციის ნაწილებზე თავდასხმისას იქ ვიყავი, ერთი ტყვიაც არ გამისვრია და იმის მიუხედავად, რომ ავტომატითა და ხელყუმბარით შეიარაღებულს წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მქონდა, პოლიციას ნებაყოფლობით ჩავბარდი...

ახალაიამ თავი მთლად მამა აბრამის ბატკნად წარმოაჩინა. მართალია, ლუგელას ხეობაში შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად ვიყავი და იარაღიც მქონდა, მაგრამ ავტომანქანაზე თავდასხმაში არ ვმონაწილეობდი, ტყეში გზა ამებნა და ჩამოვრჩი, თუმცა, ტყვეებს ვმეთვალყურეობდი, სენაკშიც შეიარაღებულ რაზმთან ერთად ჩავედი, მაგრამ პოლიციელებზე თავდასხმაში არ ვმონაწილეობდიო, — დასძინა.

დათო კაჭარავამ ხომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არც ერთი შეიარაღებული ფორმირების წევრი არა ვარ, არც თავდასხმებში ვმონაწილეობდი, სენაკში ფქვილის საყიდლად ჩავედი, სროლაში მოვყევი და დავიჭირეო.

არ დაუჯერა სასამართლო კოლეგიამ კაჭარავას, რადგან ფქვილიანი ტომრით იგი არავის უნახავს, მხარზე „მუხაგადებული" კი ბევრს დაამახსოვრდა.

რას ვიზამთ, ზღაპრების შეთხზვა პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის კარგი ხერხია, მაგრამ ყოველთვის რომ არ ჭრის? სად გაექცევი ფაქტს, მოწმეს, მტკიცებებს...

და მიესაჯათ: ნემო ჭანტურიასა და ჯემალ ახალაიას: 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით გასახლება. სასჯელის პირველი 3 წლის საპყრობილეში, დანარჩენი 12 წლის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, მათვე 3 მილიონი მანეთი უნდა გადაუხადონ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მთავარ სამეურნეო სამმართველოს. დათო კაჭარავას; 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, პირველი 2 წლის საპყრობილეში, დანარჩენი 12 წლის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. სამივე მსჯავრდებულს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 27 მილიონ 92 ათასი მანეთის გადახდა დაეკისრათ.

სასჯელი მკაცრია. ვერაფერს იტყვი, მაგრამ იმაზე მკაცრი მაინც არ არის, რაც ბანდის წევრებმა დაზარალებულებს და მათი ოჯახის წევრებს არგუნეს.

დიახ, შევხედოთ თვალებში სიმართლეს, რომელიც ბოროტებისადმი შეურიგებლობას გვავალებს და როგორც ერთ დიდ მწერალს უთქვამს: „თუ უზნეო, მანკიერი ადამიანები შეკრულან ერთმანეთთან და ძალას წარმოადგენენ, მაშინ პატიოსანმა ადამიანებმაც ხომ მხოლოდ იგივე უნდა გააკეთონ".

**რუსუდან
ლორთქიფანიძე.**

მადლობა უშიშროების სამინისტროს

სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის განკუთვნილი ტვირთი, სამწუხაროდ, არაერთხელ დაიტაცეს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქმეში ჩაერია ჩვენი რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრო და მისი აქტიური ხელშეწყობით ჰუმანური დახმარების ტვირთი უდანაკარგოდ ჩავიდა სომხეთში.

სწორედ ამ მხარდაჭერისთვის სომხეთის „ინტერკაპის" თავმჯდომარემ, საფრანგეთის „წითელი ჯვრის" წარმომადგენელმა სომხეთში ნორიკ ზულოიანმა მადლობის დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 23 დეკემბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრიული დოლარი	67,147.91	კუპონი
ავსტრიული შილინგი	8,210.67	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	146,984.37	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	27,587.89	კუპონი
გერმანული მარკა	57,781.64	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	51,567.71	კუპონი
დანიური კრონი	14,761.98	კუპონი
100 იტალიური ლირა	5,908.59	კუპონი
კანადური დოლარი	73,564.08	კუპონი
ნორვეგიული კრონი	18,881.98	კუპონი
აშშ დოლარი	98,819.00	კუპონი
ფინური მარკა	17,150.24	კუპონი
ფრანგული ფრანკი	16,950.23	კუპონი
შვედური კრონი	11,776.06	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	67,860.98	კუპონი
10 იაპონური იენი	8,916.64	კუპონი
ეკიუ	111,695.51	კუპონი
10 ესპანური პესეტა	7,019.31	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	4,029.44	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	139,947.47	კუპონი
ისლანდიური კრონი	1,370.82	კუპონი
ქუვეიტური დინარი	331,985.99	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	577.89	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	5,640.59	კუპონი
სინგაპურული დოლარი	62,014.06	კუპონი
10 თურქული ლირა	71.15	კუპონი
100 რუსული მანეთი	8300.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	26,555.02	კუპონი
ლატვიური ლატი	171,771.82	კუპონი
ესტონური კრონი	7,576.24	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	2988.00	კუპონი
ყაზახური ტენგე	14,774.00	კუპონი
მოლდოვური ლეი	28.116.25	კუპონი
ყირგიზული სომი	12.888.24	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე კი ასეთია

„ვხმაურობთ, ძმავ, ვხმაურობთ!“

ჩვენს დღევანდელ დაძაბულ და განსაცვიფრებლად მრავალპარტიულ ვითარებაში, გასაგებია ჩვენი პოლიტიკური წარსულისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა გახსენება, მათი შეხედულებების დღევანდელი დღის პოზიციიდან განხილვა და, შეიძლება, მათზე დაყრდნობით დღევანდელი პოლიტიკური შეხედულებების განმტკიცება, ანდა — კრიტიკა.

ასე მესახება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ორი პუბლიკაცია უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე: „ვარ ჩემი ქვეყნის პირისუფალი“ (7.VIII.92, ავტორი ბ-ნი ზურაბ პილაძე — ნოე ჟორდანიას ფონდის პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი) და მეორე — ნოე ჟორდანიას საკმაოდ მოზრდილი პორტრეტი შემდეგი წარწერით: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი ნოე ჟორდანია (1868-1953)“ (16.IX.93). მიტანილია რედაქციაში დღევანდელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის მიერ. პორტრეტის ქვედა კიდეზე დამოწმებულია ორი ცნობილი ქართველი მოღვაწის (თუმცა მნიშვნელობით საკმაოდ განსხვავებულის) შეხედულებანი:

„ძნელი გამოსაცნობი ყოფილა ქართველის ბუნება. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ნოე ჟორდანიას, თუ ამ ხალხის ცხოვრება გაიგო და მის სავალ გზას მიაგნო“ (ილია ჭავჭავაძე), და მეორე: „არ ვიცი, ლოცულობდა თუ არა ნოე ჟორდანია, მაგრამ ის ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიაზე ლოცულობს“ (გრიგოლ რობაქიძე). საერთო ამ ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს შორის ისაა, რომ ორივე ენერგიულად ცდილობს ნოე ჟორდანიას პოპულარიზაციას და ორივე წარმოადგენს პანეგირიკს.

მაგრამ არსებობს ნოე ჟორდანიას თეორიული შეხედულებების და მოღვაწეობის არსებითად განსხვავებული შეფასებაც. მაგალითად, ქართველი ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე — „დაღლილი და ნაღვლიანი“ იმის გამო, რომ ილია ჭავჭავაძის „აღდგომა“ ხდება ქართველი ხალხის მხოლოდ „გულში და არა გონებაში“, სასოწარკვეთილია იმით, რომ „საქართველოს ორ სამტრო ბანაკად გაყოფამ **გადაუტეხა ხერხემალი**“ ჩვენს ეროვნულ აღორძინებას (გაზ. „თბილისი“, 3.III.90. ხაზი ჩემია. შ. ხ.).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეს აღორძინება თერგდალეულებმა დაიწყეს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, და ისიც ცნობილია, რომ ქართველი ხალხის „ორ სამტრო ბანაკად გაყოფა“ — ნოე ჟორდანიას „დამსახურებაა“.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რომ ამგვარი შეფასების ავტორი, მიხეილ ქავთარაძე საზღვარგარეთ არსებული ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი წარმომადგენელია და მოხუცებულობის დროსაც ეწევა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

მე არ ვისახავ მიზნად ამჯერად ხსენებული პუბლიკაციების ავტორებთან პოზიციურ კამათს, ვეხები მხოლოდ მათი არგუმენტაციის წესს და არგუმენტების მნიშვნელობას და „წონას“ (უფრო ვრცლად, იხ. „სახალხო განათლება“, 6.IV.90 და „ჩემი ფიქრები საქართველოზე“, 1993. გვ. 151).

• • •

სამწუხაროდ ვერ გავარკვიე — საიდანაა მოტანილი ილიას ცოტა არ იყოს ბუნდოვანი სიტყვები ნოე ჟორდანიაზე, მაგრამ მთლად გაურკვეველი უნდა იყოს, რომ არ გაგახსენდეს (უარეს შემთხვევაში — გაგახსენდეს და მკითხველს დაუმალო) ილიას ცნობილი წერილები ნ. ჟორდანიაზე, რომლებიც 1900 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში“ და რომელთა სათაურებიც საკმარისია საკითხში ნათლის შესატანად.

„უმეცრობის ფართი-ფურთი“; „ახალი უმეცრებანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“; და „ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯექ-უკუჯექობანი“. ამ წერილებიდან იმდენი ადგილების დამოწმება შეიძლება, რომ მთელი გაზეთი არ ეყოფა.

მთავარი ბრალდება, რომელიც ილიამ ნოე ჟორდანიას წაუყენა— მისი უმეცრება იყო. თანამედროვე მკითხველს, რომელსაც ჟორდანია შეიძლება წარმოუდგეს როგორც დასავლეთში განსწავლული პიროვნება, იქნებ ეს ბრალდება გადაჭარბებად მოეჩვენოს. მაგრამ მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ილიას საყვედური საფუძველს მოკლებული არაა. საქმე ისაა, რომ პოლემიკა ეხებოდა **საქართველოს** ვითარებას, მის ცხოვრებას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც ილიას უშუალოდ ჰქონდა შესწავლილი თავისი დიდი ჭკუით და გამოცდილებით და მისთვის პოლემიკის დასაყრდენს ეს წარმოადგენდა.

ნ. ჟორდანიასათვის (და საერთოდ ქართველი მარქსისტებისათვის) კამათის ამოსავალი ევროპაში **შეძენილი** ცოდნა იყო, არსებითად განსხვავებულ ნიადაგზე წარმოქმნილი და ჩვენი პირობებისათვის შეუფერებელი „თეორიები“. შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ სწორედ ამ თეორიებით ზედმეტი გატაცება გახდა მათი მოღვაწეობის უნიადაგობის მიზეზი.

ისეთი ტიპიურად კაპიტალისტური მოვლენაც კი, როგორიცაა ბანკი, ჩვენს პირობებში არსებითად სხვა პრინციპებზე აგებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

ამიტომ, ამ გარემოების გათვალისწინების შემდეგ, სავსებით დამაჯერებლად ჟღერს ილიას სიტყვები: „საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია: რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გაუზეპირებია, ისიც ღმერთმა იცის როგორ... ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომლებზეც თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას კი ნუ დამწამებთო“. (თხზ., 5 ტომად, ტ. III, გვ. 387-288).

ანდა: „არიქა, ბიჭებო, ღვთის მადლით, ჩვენში კაპიტალისტობა მობრძანდა, არიქა, მისდა სადღეგრძელოდ და სასუფევლად სოფელი გავაქალაქოთ, გლეხკაცობას მამულები ჩამოვართვათ, თორემ კაპიტალისტობა შემოგვწყრება, ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს და პროგრესის ღალატი იქნებაო“.

ანალოგიური შეხედულება გამოთქმული აქვს ცნობილ ქართველ იუმორისტ შალვა შარაშიძეს (ფსევდონიმი „თაგუნა“), რომლის ბრწყინვალე ნიჭმა საბჭოთა სისტემაში ვერ ჰპოვა განვითარება. ის წერდა (1918 წ.): „ნ. ჟორდანიას „შეშურდა“ საქართველოში არსებული „ჰარმონიული ცხოვრება, ხელი აიღო სწავლაზე, დაჭყო მთლიანი საქართველო რამოდენიმე კლასად და მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა ატეხა. გაალატაკა გლეხების დიდი ნაწილი, სოფლიდან ქალაქებში ჩარეკა; ამ გალატაკებულ გლეხებს პროლეტარიატი დაარქვა და ყოვლად უწყალოდ ნადირებივით მიუსია დანარჩენ კლასებს“. ნ. ჟორდანიამ „ესეც არ იკმარა“, უგულებელყო საქართველოს ისტორიული ძეგლები, მოსპო ისინი და „საქვეყნოდ გამოაცხადა საქართველოს ისტორია არ გააჩნიაო“.

ერთი სიტყვით, ილია და ჟორდანია სხვადასხვა პოზიციებიდან და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ილიას ენა იყო ქართული, საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებული და ამიტომ — ძარღვიანი და რეალური; ჟორდანიას ენა—ზერელე, სულ სხვა ვითარებით ნაკარნახევი, საქართველოს პიროვნებისათვის შეუფერებელი და ამიტომ —მჩატე.

• • •

ბ-ნ ზურაბ პილაძის სტატიის სათაური ბრჭყალებშია აღებული და წარმოადგენს, ავტორის განცხადების მიხედვით, ნ. ჟორდანიას საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერის პირველ სტრიქონს. ამ წარწერაში „გაცხადებულია ცხოვრებისეული კრედო ადამიანისა, რომლის ხსოვნასაც ჩვენგან სათანადო პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება!“

მთლიანად წარწერა ასე ჟღერს:

„ვარ ჩემი ქვეყნის
გულდამწვარი პირისუფალი
ერის ბრწყინვალე მომავალით
მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება
თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს
მთელი სამყარო“.

ბ-ნი პილაძე იმდენად დარწმუნებულია ამ სტრიქონების უტყუარობაში, რომ, მისი სიტყვით, არც იყო აუცილებელი აქ ნ. ჟორდანიას დასახელება. სტრიქონები თავისთავად მეტყველებენ, რომ მხოლოდ ჟორდანიაზე შეიძლებოდა დაწერილიყო, მასზე თქმულიყო, როგორც „საოცარი ღალადისი შეჭირვებულ მამულზე დღენიადაგ ფიქრითა და ზრუნვით მართლაც გულდამწვარ-დაღაგულ პიროვნებაზე“. „დიახ, ეს ტრაგიკული პიროვნება გახლავთ ნოე ჟორდანია — თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებელი“. სტატიაში ლაპარაკია ნოე ჟორდანიაზე, მის „პიროვნულ თვისებებზე“, თუმცა ეს ყველასთვის „ისედაც ცნობილი მოვლენებია“.

სტატიის დიდი ნაწილი ეხება „ჟორდანიას ახლად შექმნილ ფონდს“, რომლის პრეზიდენტიც თავად ბ-ნი პილაძე გახლავთ და რომელსაც ფართო კავშირები დაუმყარებია ჰოლანდიის, ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა „ანალოგიურ ფონდებთან“.

ვფიქრობ, რომ ციტირება აღარცაა საჭირო და მხოლოდ ერთი სათქმელი დამრჩა. საქმე ისაა (და ცოტა არ იყოს, კონფუზურ მდგომარეობაში აყენებს ეს ჟორდანიას ფონდის პრეზიდენტს), რომ ლექსს არაფერი საერთო არა აქვს არც ჟორდანიას საფლავთან, არც რომელიმე საფლავთან საერთოდ და რომ ეს ფაქტი საკმაოდ დიდი ხანია ცნობილია.

პროფესორმა გურამ შარაძემ, რომელიც ჟორდანიას საფლავზე მისმა სიძემ, ბ-ნმა ლევან ფაღავამ მიიყვანა, ზუსტად გადმოწერა საფლავის წარწერა: „1868-1953. **ნოე ჟორდანია**, საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წელს 26 მაისს მისი მეთაურობით აღიდგინა თავისი სუვერენობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“ („უცხოეთის ცის ქვეშ“, 3, 1993, გვ. 368). რაც შეეხება ბ. პილაძის დამოწმებულ ლექსს, ნათქვამია იქვე, რომ „ნოე ჟორდანიას საფლავზე ასეთი წარწერა არ არის“, იმავე ავტორის, 1989 და 1990 წ.წ. გამოქვეყნებულ ნაშრომებში გარკვეულია, რომ ეს „საფლავის წარწერა“ ქართველი ემიგრანტი პოეტის სიმონიკო ბერეჟიანის ერთ-ერთი ლექსის ნაწილია.

გრ. რობაქიძის დამოწმებული სიტყვები ისეთივე პანეგირიკაა და ისეთივე უსაფუძვლო. დაინტერესებულ მკითხველს დავუსახელებ რევაზ გაბაშვილის — „რაც გამახსენდა“ (კრებ. „დაბრუნება“, 1992), ჯანრი კაშიას სტატიას — „კვიმატი ჰიპოთეზები“ (ივერია, 34, პარიზი, 1990, გვ. 39).

• • •

დასასრულ, არ იქნება სწორი, თუ ვინმე ჩემს სტატიას გაიგებს, როგორც ნოე ჟორდანიას დისკრედიტაციის ცდას. ის მართლაც ტრაგიკული პიროვნებაა, რომელიც აღმოჩნდა ჯერ მოძრაობის და შემდეგ მთავრობის სათავეში, გააკეთა თავისი საქმე, როგორც შეეძლო. ყველა ჩვენთაგანს აქვს უფლება შეაფასოს, როგორც სურს. მაგრამ მისი „აღდგენა“ და ილია ჭავჭავაძის და ნ. ჟორდანიას შეთავსება (თუმცა იყო ამის უპერსპექტივო ცდები ოფიციალურ საბჭოთა მეცნიერებაში) არ შეიძლება. არ შეიძლება, როგორი „მომგებიანიც“ არ უნდა იყოს, არც მეცნიერულად და არც პოლიტიკურად. ეთიკური თვალსაზრისით კი ეს მკრეხელობაა — ჯერ არ ამოშლილა ქართველი კაცის ცნობიერებიდან (და არც ამოიშლება) წიწამურის ტრაგედია და „ფრთოსანი“ ფრაზა —ხეს როცა სჭრიან, ნაფოტები ცვივაო.

სხვათა შორის, წელს, 13 სექტემბერს წიწამურის ტრაგედიიდან 86 წელი შესრულდა და დღევანდელი სოც-დემოკრატიული პარტიის რედაქციაში მიტანილი მასალის გამოქვეყნებას „მხოლოდ 3 დღით დააგვიანდა“.

ერთი სიტყვით, „ვხმაურობთ, ძმავ, ვხმაურობთ!“

ეს სიტყვები ალ. გრიბოედოვის ერთ-ერთ გმირს ეკუთვნის და მხოლოდ ჩემს სტატიაში განხილული ორი პუბლიკაციის გამო არ გამხსენებია. ასე რომ ყოფილიყო, მათზე წერა არც ღირდა.

ჩვენს დღევანდელ პირობებში ძალიან ბევრი „ხმაურობს“ და ამ თითქმის ორი საუკუნის წინ გამოთქმულმა სიტყვებმა ახალი ჟღერადობა შეიძინა. „ხმაურობენ“ ყველა სფეროში და განსაკუთრებით პოლიტიკაში, პარლამენტის ჩათვლით.

მაგრამ „ხმაური“ ცალკე განსჯის საკითხია. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისი გამოვლენის ერთ-ერთი, თვალში, უფრო მეტად, „ყურში საცემი“ ფორმა— ჩვენში არსებული პარტიების და პოლიტიკური საზოგადოებების „ასტრონომიული რაოდენობაა!“.

შალვა ხიდაშელი.

მინაწერი: ეს სტატია დაიწერა 25 სექტემბერს, რედაქციას გადაეცა 27.IX-ს, დილით. იმავე დღის 18 საათზე მოხდა სოხუმის ოკუპაცია კბილებამდე შეიარაღებული რუსი, ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკებისაგან. განხორციელდა ჩვენი „ცოცხალი სხეულისაგან მისი ორგანული ნაწილის ამპუტირების რეალური საშიშროება“ (გაზ. „საქ-ლოს რესპუბლიკა“, 28.VIII.93).

ეს მთლად შემთხვევითი არაა და დიდი ხნის წინაა „შემზადებული“ ქართული პოლიტიკური პარტიებისა და განსაკუთრებით ქართველი სოციალ-დემოკრატიის, მათ შორის ნ. ჟორდანიას „თეორიებით“, რომლებმაც ადრევე „მიაკუთვნეს“ საინგილო „ადერბეიჯანს, აფხაზეთი ჩრდილო კავკასიას და ახალციხე, ბორჩალოს მაზრა ნავთლუხამდე — სომხებს“ (რევაზ გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118). შდრ. ნ. ჟორდანიას მოხსენება (1917 წ.), სადაც ის ამტკიცებდა, რომ „თბილისი საქართველოს დედა-ქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია“ და მისი „სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია — ეკუთვნის სომხებს და ადერბეიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერა“ და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსაო“ (იქვე, გვ. 127).

28.IX.93.

გამოსათხოვარი

მამია მეგრელიშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი.

დაიბადა 1922 წელს მოსამსახურის ოჯახში. თბილისის მეორე საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაასრულა.

ადრეული ახალგაზრდობის წლებიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. მისმა ნიჭიერებამ, ფართო ზოგადმა განათლებამ, ხელმძღვანელის შესაშურმა უნარმა, პირადმა კეთილშობილურმა თვისებებმა თავისთავად განაპირობეს, რომ იგი გამხდარიყო თბილისის, შემდეგ კი სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის ღირსეული წინამძღოლი.

ბატონი მამია ერთხანს სათავეში ედგა ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო მმართველობას. იგი მისთვის ჩვეული ენერგიით, პრინციპულობითა და მომთხოვნელობით ოთხი ათეული წლის მანძილზე, პერიოდულად უძღვებოდა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დარგებს, როგორც საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, სახელმწიფო კონტროლის, მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის მინისტრი, გამომცემლობათა და ბეჭდვითი სიტყვის, ფასების სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარე.

საქმიანობის ამ მრავალსახოვან უბნებზე განსვენებული გამოირჩეოდა დაკისრებულ მოვალეობათა მიმართ ანალიტიკური შემოქმედებითი მიდგომით, ორგანიზატორის მასშტაბურობით. მამია მეგრელიშვილი არაერთგზის იყო არჩეული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატად და მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

ბატონი მამია ადამიანურ ურთიერთობებში მუდამ იყო სხვათა ჭირის თუ ლხინის დაუმადლებლად გამზიარებელი, მეგობრობაში ფაქიზი და იმედიანი, კარგი, ზნეობრივი ოჯახის მამა.

ბატონი მამიას სუფთა, გზაგაუხრელი მდიდარი შრომითი ბიოგრაფია სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ თავდაუზოგავად უნდა იღვწოს და იცხოვროს ადამიანმა სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მამია მეგრელიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ქართული საზოგადოებრიობის, ახლობლების, მეგობრებისა და თანამოღვაწეთა მეხსიერებაში.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, ზ. კერვალიშვილი, ა. მარგიანი, ვ. ლორთქიფანიძე, ნ. ლეკიშვილი, მ. ზანკალიანი, ი. ანდრიაძე, ლ. ზიზინეიშვილი, ნ. ბერიძე, ი. შალამბერიძე, ვ. პატეიშვილი, ი. ხარატიშვილი, თ. ჯანელიძე.

დაფუძნდა მოქალაქეთა კავშირის ზუგდიდის განყოფილება

რამდენიმე დღის წინათ, ზუგდიდში გაიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. საქინფორმის კორესპონდენტმა ორგანიზაციის თანათავმჯდომარეს **ბადრი თორდიას** სთხოვა, ორიოდ სიტყვით მოეთხრო პირველ ნაბიჯებზე.

— მოქალაქეთა კავშირის ზუგდიდის ადგილობრივი ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს დაახლოებით 200-მდე წევრს და თანამგრძნობთა დიდ რაოდენობას. ამ ორგანიზაციის მიზანი სრულებითაც არ გახლავთ მისი მექანიკური ზრდა. ქალაქისა და რაიონის კოლექტივებში იქმნება ადგილობრივი ორგანიზაციის პირველადი უჯრედები, რომლებსაც მუდმივი კონტრაქტები აქვთ სათათბიროსთან, ცდილობენ თავიანთი კონკრეტული წვლილი შეიტანონ ქვეყნის საერთო აღმშენებლობისა და ზუგდიდში ვითარების სტაბილიზაციის საქმეში.

კავშირის ორგანიზაციულ მუშაობაში ძირითადად დაეყრდნობით სათათბიროში არსებულ მუდმივმოქმედ კომისიებთან საქმიან დამოკიდებულებას, რომლის ქვაკუთხედად მიჩნეულია მათთან მაკოორდინირებელი ღონისძიებების განხორციელება. ამ კომისიების მუშაობაში უკვე გვაქვს პირველი შედეგები. კომისიათა ხელმძღვანელებმა ნათლად წარმოადგინეს რეგიონში შექმნილი ვითარების რადიკალურად შეცვლის ძირითადი მიმართულებები, აქ მთელი ყურადღება გადატანილია დუხჭირი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ასპექტებზე.

ზუგდიდში დღეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ისეთი შუალედური რგოლის არსებობა, რომელიც თავისი პრაქტიკული საქმიანობით ხელს შეუწყობს ერთი მხრივ მოსახლეობაში ნდობის ფაქტორის განმტკიცებას, მეორეს მხრივ, კი — ხელისუფლებაში შემუშავებული პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელებას, — თქვა ბატონმა ბ. თორდიამ.

საუბარი ჩაიწერა

თამაზ როგავამ.

წერილი რედაქციას

საშური საქმე

კარგად მესმის ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა, ეს სიდუხჭირე, რაც ეკონომიკასა და სოციალურ ყოფაში გვაქვს. მაგრამ, მაინც საჭიროდ მიმაჩნია ამ წერილით მოგმართოთ. გთხოვთ მის გამოქვეყნებას, რათა ამ საქმისათვის საზოგადოებაში სათანადო მიდგომა შეიქმნას, რომელიც დიდად წაადგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. იმის დიდი იმედიც გვაქვს, რომ გარდა სახელმწიფოებრივი დახმარებისა, წერილში დასმულ ამოცანას დიდი მორალურ-მოქალაქეობრივი მხარდაჭერა ექნება და ეკონომიკური მნიშვნელობაც. ვგულისხმობთ საქართველოში უკვე ასე მძლავრად წარმოდგენილ სპონსორობის ინსტიტუტს. გვჯერა, სახელმწიფო გულისხმევასთან ერთად სპონსორთა დახმარებით ამ დიდებულ საქმესაც დავძლევთ.

ახლა თვით ამოცანის შესახებ.

გადაუდებელ საკითხად მიგვაჩნია რიგ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოთა შესრულება ფუნდამენტური საინფორმაციო წყაროების მომზადება-გამოცემისათვის. იგულისხმება ის დიდი ხარვეზები, რაც ქართული ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფირებაში გვაქვს.

ბიბლიოთეკის მუშაკები და საქმეს გაცნობილი ადამიანები დაგვეთანხმებიან, თუ რა შრომატევადია საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული წყაროების მომზადება.

მართალია, გულხელდაკრეფილნი არ ყოფილან ამ დარგის სპეციალისტები და მრავალი ბიბლიოგრაფიული, მათ შორის მაღალი ღირსების კაპიტალური წყაროებია გამოცემული, მაგალითად, „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია“ სამ ტომად 1629-1950 წლების მომცველია. გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ 1819-1945 წლების პერიოდისა. გამოცემულია ქართული ჟურნალებისა და კრებულების, აგრეთვე ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების ტომეულები, სხვანი და სხვანი. მაინც დიდია ჩვენი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული სიღატაკე. ამის დასტურად დავასახელებთ პირველი რიგის ამოცანებს: ანალიტიკურად არ არის ბიბლიოგრაფირებული 1905-1934-39 წლების პერიოდის ქართული ჟურნალ-გაზეთები; არ გამოცემულა 1950 წლის შემდგომი პერიოდის „ქართული წიგნი“. „ბიბლიოგრაფია“; შესადგენი და გამოსაცემია 1947 წლის შემდგომი პერიოდის ქართული ჟურნალ-გაზეთების სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფია. შესადგენი და გამოსაცემია საქართველოს არაქართულენოვანი პერიოდიკის სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფია, შესადგენ-გამოსაცემია 1921 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს რუსული პერიოდიკის სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფია და 1928 წლიდან პერიოდის მისი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.

აქ მოტანილი ჩამონათვალის ხორცშესხმა მძლავრ საფუძველს შექმნის მეორე რიგის ბიბლიოგრაფიული წყაროების შესადგენად, ისეთებისა, როგორიც დარგობრივი, თემატური, მხარეთმცოდნეობითი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებია, ამით საქართველოში საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დონე თვალსაჩინო გახდება.

დიდი გულისტკივილით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ საქართველოში საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული კომპიუტერიზაცია ნომინალურად თითქოს არსებობს, ოღონდ პრაქტიკულად არა გვაქვს, არ ფუნქციონირებს. ეს უბადრუკობა უნდა დავძლიოთ. ნუ დაგვავიწყდება — დღევანდელი თაობის გამოთვლითი ტექნიკა (კომპიუტერიზაციის ფუძე-საძირკველი) მხოლოდ მორალურად ცვდება და მათს შეძენაზე დახარჯული თანხა ფაქტობრივად წყალში იყრება. ესეც უაღრესად საშური საქმეა.

ჩვენი თაობის სპეციალისტები და მკითხველები, რა თქმა უნდა, დიდად მადლიერნი ვართ იმ წინაპრებისა, ვინც დაგვიტოვა დიდი თუ მცირე ბიბლიოგრაფიული წყარო. დღევანდელმა თაობამ კი უნდა შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მორალურ-ეთიკური ვალი იმით, რომ დღეს გასაკეთებელ საქმეს თავსატეხად ნუ დავუტოვებთ მომავალს.

საზოგადოებისათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოგრაფიულ წყაროს, როგორც მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში, საჭირო ინფორმაციის მისაღებად. ამ წყაროების გამოყენებით დიდი დრო გვეზოგება.

წინამდებარე წერილის გაცნობა თავისთავად ბადებს კითხვას, თუ რა არის საჭირო ჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად. დღევანდელ ვითარებაში საჭიროდ მიგვაჩნია ოპერატიულად შეიქმნას ბიბმუშაკთა ასოციაცია კოლექტიური და ინდივიდუალური წევრებისაგან, რომლის ხელმძღვანელობაც განსაზღვრავს ყველა თანამდევ საკითხებს.

ბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, ისტორიამ საქართველოს მეწინავეობა დააკისრა კავკასიაში. ჩვენ მისი დათმობის უფლება არა გვაქვს.

ველით ბიბლიოთეკებისა და ბიბმუშაკთა, საერთოდ, მთელი საზოგადოების მხარდაჭერას.

ალექსანდრე ირემაშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე.

ამაზე მეტი მკრეხელობა შეუძლებელია!

ამა წლის 16 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ნოე ჟორდანიას პორტრეტის ქვეშ ვკითხულობთ დიდი ილიას სიტყვებს:

„ძნელი გამოსაცნობი ყოფილა ქართველის ბუნება. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ნოე ჟორდანიას, თუ ამ ხალხის ცხოვრება გაიგო და მის სავალ გზას მიაგნო“.

იქვეა გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამიც:

„არ ვიცი ლოცულობდა თუ არა ნოე ჟორდანია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიაზე ლოცულობს“.

უბირი მკითხველი მიიჩნევს, რომ სულმნათ ილიასა და გრიგოლ რობაქიძეს მსგავსი შეხედულება ჰქონიათ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველ თავმჯდომარეზე და რომ ნოე ჟორდანიას მართლა მიუგნია ქართველი ერის ხასიათის ამოხსნისათვის და წარმატებით შეუძლია ქვეყნის გაძღოლა. ამაზე მეტი მკრეხელობა შეუძლებელია!

გრიგოლ რობაქიძე ჟორდანიას მაქებარი იყო და უნდა ყოფილიყო კიდეც, რადგან უცხოეთის ცისქვეშ ერთ ტაფაში იწვოდნენ და ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთი უნდა აეტანათ და გაეტანათ, რომ არ ექო და მხოლოდ ესაყვედურებინა მის მიერ დაშვებული შეცდომებისათვის, რა თქმა უნდა შეუძლებელი იყო. ილია კი... ილიას არასოდეს შეუქია ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა და ვერც შეაქებდა, რადგან ჟორდანიამ, ჯერაც სრულიად ახალგაზრდამ, სიბერის წლები გაუმწარა ილიას. უფრო მეტიც: იგი შეეცადა, ცოცხლად დაემარხა ილია. ვინც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის გზასაყარის ქართულ პერიოდულ პრესას იცნობს, უმალ დაგვეთანხმება, რომ ნოე ჟორდანიას მთელი მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო ილიას სახელის დისკრედიტაცია, რათა გზა გაეხსნა თავისი „კომუნისტური“ იდეებისათვის, თუმცა იმ კომუნისტურში, რაც საპატიო იყო — ინტერნაციონალიზმი, ჟორდანიას არ გააჩნდა და წმინდა წყლის ნაციონალისტი იყო. ათასგვარი ცილისწამებითა და ცილისმწამებელთათვის ხელის შეწყობით, მან კინაღამ შესძლო მოხუცი ილიას დათრგუნვა და საზოგადოების ზერელად მოაზროვნე ნაწილში ავტორიტეტის შერყევა, რამაც შემდგომში მისი მკვლელობა გაიოლა.

საქვეყნო საქმეში თავიდან ბოლომდე მართალი იყო ილია და მართალ კაცს კი უსამართლონი და კარიერისტები ცირად უყურებენ. ხელსაყრელ შემთხვევაში კი სასიკვდილოდაც არ ინდობენ, რათა წინ არ გადაეღობოს უსამართლობას.

ამბობენ, სიცოცხლის ბოლო ოცწლეულში მხატვრულ ლიტერატურაში არაფერი შეუქმნიაო ილიას? რატომ? იმიტომ, რომ მხატვრულ ლიტერატურას შემოქმედის დადინჯებული მუშაობა სჭირდება და იმდროინდელი საქართველო კი ისე არივ-დარიეს ვითომცდა რევოლუციურმა ძალებმა, დადინჯების საშუალება აღარ იყო. ილია კალმით იგერიებდა აქეთ-იქიდან შემოსულ უმეცრებას, რომელიც საქართველოს დაღუპვის საშიშროებისკენ მიაქანებდა. მის მიერ შემუშავებული საქართველოს დამოუკიდებლობის პარლამენტური გზა ახალგაზრდობას არ ეჭაშნიკებოდა, რადგან, თუ ამ გზით თავისუფლებას მოვიპოვებდით, ილია გახდებოდა ქვეყნის თავკაცი და სხვები მშრალზე დარჩებოდნენ. ამიტომაც ყველანაირად შეუტიეს მხცოვან მწერალს. იქამდე შეუტიეს, რომ სასიკვდილოდაც აღარ დაინდეს. ამის შემდეგ მოდექით და ნოე ჟორდანიას მადიდებლად გამოიყვანეთ, როგორც ამას დღევანდელი სოციალ-დემოკრატები აკეთებენ.

აქეთ და ადიდეთ, ბატონებო, თქვენი რჩეული ნოე ჟორდანია და მის მიერ შექმნილი პარტია, მაგრამ ხალხს დაუტოვეთ ილია ჭავჭავაძე თავისი სიმართლითა და პირდაპირობით. ილიას მძაფრ ირონიას ჟორდანიას მოღვაწეობაზე ქებად ნუ გავასაღებთ და შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ ერის მამის გატანჯულ სულს.

კომუნისტებმა რაც კარგი ჰქონდათ, ილია ხედავდა და აკი იცავდა კიდეც ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. იგი ყოველ ერში (და არა მარტო რუსეთში) ორ ერს ხედავდა, პროგრესულსა და რეაქციულს. რაც ახალია, ყოველთვის არ არის პროგრესული და რაც ძველია, — დრომოჭმული და უარსაყოფი. ამდენად ილიას „მოძველებული“ აზრები ყოველთვის პროგრესული იყო საქართველოსთვის და „რევოლუციური“ ახალთაობის იდეები კი დამღუპველად გამოიყურებოდა, რასაც მხოლოდ ილია ხედავდა. ამიტომაც ვერ შეაქებდა ილია ნოე ჟორდანიას და მის თანამოაზრეებს.

მოგვიტევონ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებმა და აქვე დავძენთ, რომ ეს საზოგადოება არ უნდა ატარებდეს ილიას სახელს, რადგან მისი იდეოლოგია დიამეტრულად ეწინააღმდეგება ილიას იდეოლოგიას. სხვა საქმე იყო სალი გონების პოლიტიკოსი, ამ საზოგადოების სული და გული ზურაბ ჭავჭავაძე რომ ცოცხალი გვყოლოდა. ან ეს საზოგადოება უნდა ამაღლდეს ილიას აზროვნების დონემდე, ანდა უარჰყოს სახელწოდება.

გიორგი პაპუაშვილი.

რედაქციისაგან: ნოე ჟორდანიას პორტრეტი თავის წარწერებიანად რედაქციას მოაწოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, როგორც განცხადება.

ხიდები

უნგრელთა „ქართლის ცხოვრება“ ქართულად

ახლახან, თბილისში, აკადემიური წიგნის მაღაზიაში, შესანიშნავი წიგნი, ძველი უნგრული ქრონიკების ქართულ თარგმანი გამოჩნდა, რომელიც გამომცემლობა „სახალხო წიგნმა“ გამოსცა. თარგმანი უნგრულიდან, წინასიტყვაობა და კომენტარები ეკუთვნის რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“ თავმჯდომარის მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს რეზო ხუციშვილს. იგი ათ წელზე მეტია იკვლევს უნგრულ-კავკასიურ ურთიერთობებს, ილწვის უნგრული ისტორიისა და კულტურის გასაცნობად თავის თანამემამულეებისთვის. ამის კიდევ ერთი დასტურია აღნიშნული ნაშრომიც.

„უნგრული ქრონიკები“, ასე ეწოდება ამ წიგნს, რომელიც უნგრელთა ძველი ისტორიის ამსახველი პირველწყაროების პუბლიკაციაა. ჩვენი „ქართლის ცხოვრების“ მსგავსად, იგი წარმოადგენს საისტორიო მწერლობის კრებულს, სადაც შეტანილია უნგრელ ისტორიკოსთა ის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობენ უნგრელი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან XIV საუკუნის შუა წლებამდე. ეს ქრონიკები იწერებოდა XI-XV სს. სხვადასხვა უნგრელი ავტორების მიერ ლათინურად, იმდროინდელ ევროპაში გავრცელებული გესტების ჟანრში, ხოლო მათი უნგრული თარგმანები მოგვიანებით შესრულდა. უნგრელი ერი „უნგრული ქრონიკების“ კრებულს ეროვნულ საგანძურად მიიჩნევს და თავიანთი წარსულის ერთ-ერთ სიამაყედ თვლის, როგორც ჩვენ, ქართველები — „ქართლის ცხოვრებას“. ამიტომ, მისი ქართული თარგმანით, არა მხოლოდ ძვირფასი საისტორიო წყარო მიიღო ქართველმა მკითხველმა, არამედ გარკვეულად დაფასდა უნგრული ერის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობაც.

„უნგრული ქრონიკების“ კრებულის შექმნის ისტორიაც დაახლოებით ისეთივეა, როგორც „ქართლის ცხოვრებისა“, კერძოდ, მისი ავტორები ამუშავებდნენ წინამორბედთა ნაშრომებს და აგრძელებდნენ მათ. უნგრელი წყაროთმცოდნეების მიერ დადგენილია, რომ უნგრული ისტორიოგრაფიის პირველი ნაწარმოები „მადიარების ისტორია“ XI ს. მეორე ნახევარშია დაწერილი და მასზე მუშაობა მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა უცნობი ავტორების მიერ. ეს ნაწარმოებები დაკარგულია, მაგრამ ისინი შემორჩენილია ნუსხების სახით, რომლებიც ორ ჯგუფს შეადგენენ — ილუსტრირებულს და ბუდას ქრონიკას. შემორჩენილი კრებულის ის ნაწილი, რომლის საფუძველსაც უნგრული ქრონიკების პროტოგრაფი ანუ „მადიარების ისტორია“ წარმოადგენს, შეიცავს სხვადასხვა დამატებას და მისი სიუჟეტია უნგრელთა წინაპრების თავგადასავალი, სკვითეთიდან მათი წასვლიდან XI ს. 60-იან წლებამდე. შემდგომი პერიოდის ისტორიას კი (XIV ს. შუა წლებამდე) ავსებს ამ წიგნში წარმოდგენილი სამი დამოუკიდებელი ნაწარმოები: ანონიმი ავტორის „მადიართა ქმედებანი“, შიმონ კეზაის „ჰუნების ისტორია“ და მარკ კალტის „ილუსტრირებული ქრონიკა“.

დასახელებულმა ნაწარმოებებმა საფუძველი ჩაუყარეს უნგრელ ტომთა ძველი საცხოვრებელი ადგილის კავკასიაში არსებობის მეცნიერულ ჰიპოთეზას, რომელთა ავტორები თავიანთი წინაპრების განსახლების ტერიტორიად სკვითეთს მიიჩნევენ, უფრო ზუსტად კი, „მაეტოს ჭაობებს“, ანუ აზოვის ზღვის მიდამოებს ასახელებენ. ისინი ამავე რეგიონს უკავშირებენ და წამყვან მნიშვნელობას ანიჭებენ უნგრელთა ჰუნებთან ნათესაობას, რომელთაც ხშირად აიგივებენ კიდეც. მაგალითად, ერთ-ერთი ქრონიკის ფრაგმენტში ვკითხულობთ: „...იესო ქრისტეს გაჩენის 888 წელს მადიარები ანუ ჰუნები, რომლებსაც ლათინურად უნგრელებს უწოდებენ, კვლავ გადასახლდნენ პანონიაში“ (გვ. 11). ეს უნდა იყოს უნგრულ ისტორიოგრაფიაში პირველი ცნობა მადიარების გაიგივებისა ჰუნებთან.

დასახელებული ქრონიკების სხვა ავტორებიც აიგივებდნენ უნგრელებს ჰუნებთან. ერთ-ერთი მათგანი ცალკე თავს უძღვნის „სკვითიას“, რომელშიც აღწერილია მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ხალხი, ადათ-წესები და სხვა. ავტორის აზრით, „სკვითია“ ძალიან დიდი მიწაა, რომელსაც დენტუ-მოდიერს ეძახიან... სკვითეთის პირველი მეფე იყო მაგოგი, იაფეტის შვილი და ერმა მეფე მაგოგისაგან მიიღო სახელწოდება მადიარი. ამ მეფის შთამომავლობიდან წარმოიშვა მეტად სახელოვანი და უზარმაზარი სიძლიერის მეფე ატილა“ (გვ. 14), გარდა ამისა, ამ წყაროებში ხშირად ვხვდებით სიტყვებს „ჰუნები ანუ მადიარები“ (გვ. 62, 73 და სხვა).

მას შემდეგ, რაც უნგრელი მეცნიერები მშობლიური ენის წარმომავლობით დაინტერესდნენ, ე. წ. ჰუნ-მადიარულმა დოგმამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, თუმცა, სპეციალისტებში არ არის ერთიანი აზრი უნგრელთა ეთნოგენეზისა და მათი ტომების განსახლების შესახებ IX საუკუნემდე. მიუხედავად ამისა, დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ უნგრელები ფინურ-უნგრულ ხალხთა რიცხვს განეკუთვნებიან და მათი ენა, ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახის უნგრულ ჯგუფში შედის. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ურალიდან დაიძრნენ თავიანთი შორეული მოგზაურობისათვის, შემდეგ ცოტა ხნით ბაშკირეთის ველებში შეჩერდნენ, გაიარეს კავკასიის ჩრდილოეთი მხარე, სადაც აგრეთვე გარკვეული ხანი დაჰყვეს და ერთი პერიოდი ხაზართა დაქვემდებარებაშიც მოხვდნენ. აქედან ისინი, კიევის რუსეთის გავლით კარპატებთან მივიდნენ; შემდეგ კი 895-896 წ.წ. თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ. ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. ურალიდან ცენტრალურ ევროპაში მისვლამდე, უნგრელებს მრავალ ხალხთან მოუხდათ სხვადასხვა სახის ურთიერთობა, მათ შორის კავკასიის ხალხებთანაც.

ვფიქრობ, „უნგრული ქრონიკების“ პირველი ქართული პუბლიკაცია (ამ ქრონიკების რუსული თარგმანი არ არსებობს) გააფართოებს წყაროთმცოდნეობით ბაზას და დაეხმარება ჩრდილო კავკასიისა და უნგრეთის წარსულით დაინტერესებულ პირებს, ვინაიდან მასში საუბარია ჰუნების, სკვითების, მადიარების და სხვა ხალხთა წარმომავლობაზე, ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, ადათ-წესებსა და ა. შ. მკითხველი შეხვდება აგრეთვე, შუა საუკუნეების ზოგიერთი ევროპელი ხალხის ისტორიის საკითხებსაც.

უნდა ითქვას, ისიც, რომ „უნგრული ქრონიკების“ ქართული გამოცემა კიდევ ერთ მოკრძალებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს უნგრელი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში, რომელსაც ამშვენებს ისეთი სახელები, როგორიცაა: მიხაი იშტვანოვიჩი (უგროვლახელი), მიხაი ზიჩი, ბელა ვიკარი და სხვ. ამასთან, თავისთავად, ეს წიგნი ამ ორი მეგობარი ხალხის ძვირფასი შენაძენიცაა.

ორიოდე წლის წინათ, უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არპად გიონცმა ასეთი შესანიშნავი სიტყვები თქვა: „არიან ერები, რომლებიც ბედის ნებით გეოგრაფიულად შორს ცხოვრობენ ჩვენგან, მაგრამ რომლებთანაც სულით ძალზე ახლოს ვდგავართ; უნგრეთში ჩვენ ასეთ ერებს მივაკუთვნებთ ქართველ ხალხსაც; ამიტომ, განსაკუთრებული გულისყურით ვადევნებთ თვალს ყოველ ცნობას საქართველოს შესახებ, ყოველ ამბავს საქართველოდან“. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 22.05.91).

ვიმედოვნებ, არცთუ სახარბიელო პოლიტიკურ ამბებთან ერთად, უნგრელი ხალხი საქართველოდან ერთ სასიამოვნო ფაქტსაც შეიტყობს — მათი „ქართლის ცხოვრების“ ქართულად გამოცემას, რომლის რამდენიმე ცალიც მთარგმნელმა თავის უნგრელ მეგობარ-კოლეგებს გარდა, ბუდაპეშტის სეჩენის სახელობის ბიბლიოთეკას გაუგზავნა.

გურამ შენგელია,

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.



სურათზე: „უნგრული ქრონიკების“ ერთ-ერთი ილუსტრაცია, რომელზეც ასახულია უნგრელთა წინაპრების მისვლა თანამედროვე სამშობლოში (895-896 წ.წ.).

ინფორმაცია 93

„იბერიას" ლენტიდან

თბილისი. დღეს, დაახლოებით 11.30 სთ-სთვის, შატბერაშვილის ქუჩაზე ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს „მხედრიონის" წევრებს ზაზა ვეფხვაძეს და გია სვანიძეს, რომლებიც მსუბუქი ავტომანქანიდან გადმოდიოდნენ. ისინი ადგილზევე გარდაიცვალნენ, ხოლო მათი თანმხლები პირი, რომლის ვინაობაც, ჯერჯერობით, დაუდგენელია, მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს.

თბილისი. მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა, რომელიც საქართველოს მოსახლეობისათვის არის განკუთვნილი.

როგორც „იბერიას" კორესპონდენტს განუცხადა ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ვან ცენხიანმა, სპეციალური თვითმფრინავით საქართველოს დედაქალაქში ჩამოიტანენ 80 ტონა პროდუქტებსა და მედიკამენტებს. ისინი გაუნაწილდება აფხაზეთიდან ლტოლვილებს.

თბილისი. როგორც სააგენტო „იბერიასათვის" გახდა ცნობილი, ბორჯომის ორი ქარხანა 450.000 დოლარად გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ თითოეული ქარხანა დღეში მილიონი დოლარის საქონელს აწარმოებს.

თბილისი. სააგენტო „იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის წევრმა ზურაბ მურვანიძემ განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც თბილისის რძის კომბინატი პრივატიზებულ იქნა, მისი ტექნიკური მოწყობილობა სისტემატურად გადის რუსეთში და იქ იყიდება, ფაქტობრივად, ეს საწარმო საქართველოსთვის დაკარგულია.

თბილისი. „იბერიასათვის" სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში შეიძინეს 4.500-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ვარაუდობენ, რომ ეს ბინები შეძენილია იმ პირთა მიერ, რომლებმაც უკანონო ფინანსური ოპერაციებით დიდძალი თანხები დააგროვეს.

●

შემთხვევა მარნეულში

20 დეკემბერს, 15 საათსა და 20 წუთზე, ქალაქ მარნეულის ცენტრში ორმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა, რომლებიც უნომრო გაზ-24 მარკის ავტომანქანით იყვნენ, გაჩერება ანიშნეს ავტომანქანა ვაზ-2107-ს, რომელსაც მართავდა მისი მფლობელი, სოფელ თამარისის მცხოვრები კახა მანთაშაშვილი. იგი არ დაემორჩილა და განაგრძო სვლა. გაზ-24-ში მსხდომნი გამოედევნენ მას და ავტომატური იარაღის გასროლით დაჭრეს მძღოლი, რის გამოც ავტომანქანამ დაკარგა მართვა და დაეჯახა ფეხით მოსიარულეებს. დაჯახების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა მოფალ ალი-ოღლი პირიევი. დაჭრილი კახა მანთაშაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. დაჯახების შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო ვაზ-2107-ის მგზავრმა ბადრი ხამხონაძემ.

21 დეკემბერს, დაახლოებით დილის 10 საათზე ქალაქ მარნეულის შესასვლელთან შეიკრიბა 1000-ზე მეტი კაცი, კახა მანთაშაშვილისა და მოფალ ალი-ოღლი პირიევის ნათესავ-ახლობლები და მათ მოითხოვეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თარეშის ალკვეთა და პროტესტის ნიშნად გადაკეტეს საავტომობილო გზა.

მარნეულში ჩავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, პოლიციის გენერალ-მაიორის დემურ მიქაძის ხელმძღვანელობით. ჯგუფი მაშინვე შეუდგა ბოროტმოქმედთა ძებნას. მოპიკეტეებს მისცეს პირობა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს იღონებენ ბოროტმოქმედთა დასაკავებლად და სამსჯავროზე გადასაცემად. 19 საათისათვის საავტომობილო გზა განთავისუფლდა.

●

გაიტაცეს მსხვილფეხა საქონელი

ავტომატებით შეიარაღებული ხუთი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა მდინარე ივრის ველზე განლაგებულ თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმას. მათ იარაღის მუქარით გაიტაცეს 50 სული მსხვილფეხა საქონელი და გადავიდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

„აბა, წამართვი!"

მადლობა ღმერთს, ეროვნული სტადიონიც გვაქვს, ეროვნული ცირკიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეროვნული აბანოც კი...

მაგრამ ბოლო წლებში საახალწლო სუფრა რატომღაც აღარ გვეეროვნულ-გვემშობლიურება, რადგან აღარც ეროვნული საცივისთვის თავწაგლეჯილი ქათამინდაური გვიწყვია და აღარც ეროვნული კანფეტ-შოკოლადები.

„აბა, წამართვი!" — ერთ დროს ბავშვებს ახარებდა ასეთი შოკოლად-კანფეტი. „აბა, წამართვი!" — ერთმანეთს ახელებდნენ და გამარჯვებულ თანატოლებს გემრიელი კანფეტით გულუხვად უმასპინძლდებოდნენ პატარები, რადგან შინ „დათუნია" და „წითელქუდა", „საღამოს ზარები" და „ჩიტის რძეც" კი არ აკლდათ.

ახლა კი ყველაფერი წაართვეს, თანაც...

„ტვიქსი" — „ტკბილი წყვილი" — ყოველ საღამოს გამომწვევად იმეორებენ რეკლამისტები და ტელეეკრანს მიჯაჭვული საბრალო ბავშვები რამდენჯერმე გაფიცხებულ პურის ნატეხს სიმწრით ახრამუნებენ.

თბილისის ქუჩებს კი აჩნია ბედის ნებიერთა ნაკვალევი „მარსისა" და „სნიკერსის" დაჭმუჭნილი, მაგრამ მაინც თვალისმომჭრელი ეტიკეტები.

— საახალწლოდ რას სთავაზობთ ბავშვებს?

საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" გენერალური დირექტორის ჯემალ კბილაშვილის მისაღებში ინვალიდებისა და მარტოხელა მოხუცების სიმრავლეს წინასწარ მომზადებულ კითხვაში კორექტივი შეაქვს.

— რით გაგვახარებთ დიდებსაც და პატარებსაც?

ამ კითხვაზე პასუხს დირექტორის მაგიდაზე დასტა-დასტად დაწყობილ კოლექტიურ განცხადებათა ავტორებიც ელოდებიან, მაგრამ „შენ რომ ჩემთვის ჯაგარი არ მოგიტანიაო?..." მათ შორის არიან ისეთებიც, ვის აქტიურობაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული „თბილკონდიტერის" გამართული მუშაობა. სამწუხაროდ, დროულად თავის შეწუხება არავის უნდა, საახალწლოდ პირის ჩატკბარუნების მსურველი კი, იცოცხლეთ, ბევრია.

როცა კოლექტივმა აქ გაზრდილი, მუშიდან საამქროს უფროსის თანამდებობამდე გზაგავლილი ჯემალ კბილაშვილი აირჩია, ნედლეულის უქონლობის გამო საწარმო კარგახნის გაჩერებული იყო. ორი თვეა ძველი კონტაქტების წყალობით ყინული დაიძრა. ამ პერიოდში 256 ტონა კარამელი, მარმელადი და ნამცხვარი დამზადდა. წინათ კი ამ რაოდენობის პროდუქციას მარტო ერთ თვეში აწარმოებდნენ.

— გაძვირდა მარგარინი, შაქრის ფხვნილი, ბადაგი, რომელიც რუსეთიდან შემოდიოდა და ჩვენც გავაძვირეთ პროდუქცია. კილოგრამი კარამელი უკვე 39 465 კუპონი ღირს, კილოგრამი ნამცხვარი — 26550 კუპონი, ერთი კოლოფი მარმელადი — 16 765 კუპონი, — თითქოს ბოდიშს იხდისო, ამბობს დირექტორი...

საქაღალდე სავსეა მადლობის წერილებით. ინვალიდთა ასოციაციის, საბავშვო ბაღების, მრავალშვილიანი დედებისა და ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ასოციაციის, სურამის უდედმამო ბავშვთა სახლის, სათნოების სახლის მესვეურები დახმარებისათვის გულთბილ სტრიქონებს უძღვნიან საწარმოს კოლექტივს, მის ხელმძღვანელს იმ სიხარულისთვის, რაც პატარებს, მოხუცებს თუ ინვალიდებს მიანიჭა მათ მიერ უსასყიდლოდ გაგზავნილმა ტკბილეულმა.

სახელმწიფოს „ჯიბეები" რომ გულმოდგინედ „მოეჩხრიკა" და 50 მილიონი მანეთი „აღმოეჩინა", საზღვარგარეთიდან კაკაოს მარცვლის შემოტანაც მოხერხდებოდა და პატარა მომხმარებლის სიხარული მაშინ გენახათ.

თუმცა, ფილა შოკოლადებსა და „ნაკრებს" ვინ ჩივის, ნეტავ საახალწლო სუფრა ყველამ „ეროვნული" კარამელით მაინც დაიმშვენოს.

— სამწუხაროდ, რესპუბლიკის ყველა საწარმოს, მათ შორის თქვენი გაერთიანების პროდუქციაც კომერციულ მაღაზიებს უფრო „ამშვენებს", ვიდრე სახელმწიფო ვაჭრობის ობიექტებს. რასაკვირველია, „კომერსანტთა წყაროს" დაშრობა თქვენს კომპეტენციას არ განეკუთვნება, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ზემოაღნიშნულ ფასებში მომხმარებელს როგორმე მივაწოდოთ მონატრებული საკონდიტრო ნაწარმი? — ვეკითხებით ბატონ ჯემალს.

— იმის მიუხედავად, რომ თბილისქალაქვაჭრობას წინასწარ თანხების ჩარიცხვის საშუალება არა აქვს, მომხმარებელს მაინც ვაწვდით პროდუქციას.

მაგრამ „თბილისქალაქვაჭრობამ" თუ ვერ უზრუნველყო „კუპონსაყრელ" ფასში ამ პროდუქციის მიწოდება? — ამ შემთხვევაში ალბათ „ეროვნულ ჯიხურებში" კილოგრამი კარამელის ყიდვა 150 ათას კუპონად მოგვიწევს და მაშინ მართლაც... „აბა, წამართვი!"

ლეილა კოშკაძე.



ყველაზე იაფად !!!
იყიდება წყლის სწრაფმოქმედი ელექტროგამაცხელებლები
ATMOR SUPER-5
(ისრაელის წარმოების)
5 კვტ. 220ვ.
ფასი: $ 120
ტელ: 95-24-46
95-06-42
95-69-38

"ATMOR"- ის ელექტროგამაცხელებლებს შორის ეს სუპერ მოდელი გამოირჩევა ფანტასტიკური შესაძლებლობებით:

- აცხელებს წყალს აპარატში გავლის დროს –ტემპერატურის კონტროლის ორი გზა ...იზოგება ელექტროენერგია და წყალი
- აცხელებს განუსაზღვრელი რაოდენობის წყალს ...ირთვება ავტომატურად წყლის მიწოდებასთან ერთად –მეტად მარტივი დასაყენებელი და სახმარია
- შეიძლება დააყენოთ ნებისმიერ ადგილას: აბაზანაში, სამზარეულოში, საცხოვრებელ ბინაში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.
- აღჭურვილია ორმაგი ავტომატური დაცვით

იჩქარეთ, რადგან ახალი წლიდან
ფასი გაიზრდება

ამ დღეებში
გვაწყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საინფორმაციო კორესპონდენტები
მოვლენა · ფაქტი · კომენტარი

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ...

ბოლო დროის პოლიტიკურმა მოვლენებმა და სამოქალაქო ომმა, დასავლეთ საქართველოში თითქმის მთლიანად მოშალა საკომუნიკაციო სისტემა, რომლის აღსადგენადაც კავშირგაბმულობის სამინისტროს დიდი ძალისხმევა დასჭირდება. სიძნელეთა მიუხედავად, ბევრი რამეც გაკეთდა. კერძოდ, უკვე გაყვანილია ქუთაისი-ფოთის ახალი 30-არხიანი სატელეფონო რადიოსარელეო ხაზი. საქართველოს ტელევიზიის პროგრამების ბათუმში მიწოდების მიზნით აღდგა სენაკი-ფოთის ტელე-რადიოსარელეო ხაზიც.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა სენაკი-ზუგდიდის რადიოსარელეო ხაზს. მოძველებული ტექნიკა ახალი ტიპის აპარატურით შეიცვალა.

ზუგდიდი-ჯვარზენი-წალენჯიხა და ჯვარზენი-ჩხოროწყუს რადიოსარელეო ხაზზე დამონტაჟდა თანამედროვე აპარატურა, ხოლო ქალაქ ზუგდიდში დაიდგა ახალი სატელევიზიო გადამცემი სადგური.

ზემოაღნიშნულ სამუშაოებს მთლიანად 150 მილიონი რუსული მანეთი მოხმარდა. კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა და სისტემის კოლექტივი ყველა ღონეს ხმარობენ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის, მაგრამ მათ აუცილებლად სჭირდებათ სამართალდამცავი ორგანოების ქმედითი დახმარება, რათა როგორმე აღიკვეთოს კავშირგაბმულობის სისტემის ობიექტებზე „სპილენძის მაძიებელთა" ნადირობა, რაც მძიმე ტვირთად აწვება არა მარტო კავშირგაბმულობის სისტემას, არამედ თავად სახელმწიფო ბიუჯეტს და, საბოლოო ჯამში, კვლავ მოსახლეობას უქმნის სირთულეებს. თუ რესპუბლიკაში კრიმინოგენური ვითარება არ გაუმჯობესდა, მალე მუშაობა საერთოდ შეუძლებელი გახდება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირების ხშირი გათიშვა და მოსახლეობის მიერ სატელევიზიო გადაცემების შეფერხებით მიღება კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის მუშაკთა ბრალი კი არ არის, არამედ ეს მეტწილად საერთო ენერგეტიკული კრიზისის შედეგია.

მზია ნარმანია,
კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

ახალი წიგნი

პირველი ცდა



გამომცემლობა „რუბიკონმა" ქართველ მკითხველს მიაწოდა ქართული ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგია. მკითხველი წიგნში გაეცნობა ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლექსებს, რომლებშიც ნათლად დაინახავთ ახალი გზებისა და ფორმების ძიების ცდას. ლიტერატორთა ახალგაზრდული ხმა ძალას მატებს ქართულ სულს და მწერლობას. კრებულში წარმოდგენილია თავისთავადი პოეტური ხედვის შემოქმედება.

ქართული ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგიის ამ ფორმით გამოცემა, პირველი ცდაა.

სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილნი არიან ცნობილი ჟურნალისტები და პოეტები. გამოცემის სპონსორია პოეტი იოსებ მაჭარაშვილი. იმედია, ლიტერატურული საზოგადოება ინტერესით გაეცნობა კრებულს.

იზა ჯაჭვაძე.

„მეგზურის" კეთილი საქმეები

საქველმოქმედო ორგანიზაცია „მეგზურმა" თელავში აღრიცხვაზე მყოფ ავადმყოფ ბავშვებს სამ-სამი კილოგრამი კარაქი დაურიგა. ახალი წლის წინა დღეებში პატარები საჩუქრად ფულად დახმარებას მიიღებენ (ერთ ბავშვზე 40 000 კუპონია გათვალისწინებული). როგორც „მეგზურის" თელავის განყოფილების ხელმძღვანელმა ნატო ურთმელიძემ განაცხადა, მათ არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ ხელმძღვანელობას და, კერძოდ, თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს მერაბ ხიდაშელს დახმარებისთვის, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა ერთი ოთახის გამოყოფაც კი, რათა ამ კეთილი საქმის მკეთებელ ხალხს მუშაობის საშუალება ჰქონდეს.

რეპლიკა

„პრესის თავისუფლებაა, შე გოიმო!.."

წაიკითხავენ ალბათ ამ რეპლიკას ახლახან გამოსული ყოველკვირეული გაზეთის — „ფორუმის" მესვეურნი და დამცინავად ჩაიქირქილებენ: „რა მოხდა, პრესის თავისუფლებაა, შე გოიმო!.. თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგი შეიძლება იყო, მაგრამ წვით და დაგვით მოპოვებულ სიტყვისა და პრესის თავისუფლებასაც ეწინააღმდეგები?!.."

...იქნებ მართლა ჩამორჩი, დროს, იქნებ ღრმა ძილში ვარ, ამასობაში კი თურმე საოცრად წინ წავსულვართ და სექსუალურ ურთიერთობებზე წერისას ქართული პრესა ზოგჯერ უცხოურსაც კი აჭარბებს. მაგალითად, ამ ჩვენი ახალი გაზეთის ბოლო ნომერში დაბეჭდილ კროსვორდში ასეთ კითხვასაც კი გვთავაზობენ: **„სქესობრივი აგზნება და აქტის ჩატარება პირის გზით"**... აბა, თავიც რომ ვიმტვრიო, ამოვხსნი ამას მეე?.. ეტყობა, ჩემისთანა ჯიხვებისთვის არც გამოდის ეს გაზეთი!..

ვილენ მარდალეიშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირის
მხატვრული თარგმანის საგამომცემლო ცენტრის
„ხომლის" ქვესაწარმო „მთარგმნელი"
აცხადებს მიღებას

უცხო ენების შემსწავლელ და მთარგმნელთა დახელოვნების სკოლაში.

შეისწავლება ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, ძველბერძნული, თურქული, სპარსული, პოლონური, ებრაული, აზერბაიჯანული, სომხური, უკრაინული, რუსული, არაქართველთათვის ქართული ენა.

სკოლას ხელმძღვანელობენ ბაჩანა ბრეგვაძე და გიორგი ნიშნიანიძე.

სკოლა რეკომენდაციას გაუწევს საუკეთესო თარგმანების გამოქვეყნებას.

სწავლა დაიწყება 1994 წლის 10 იანვრიდან. სწავლება-შეღავათიან ფასებში. პირობების გაგება შეგიძლიათ 1993 წლის ბოლომდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 4, მე-2 სართული. ტელ.: 93-35-85.

აგრეთვე გთავაზობთ: ნებისმიერი ტექსტის გადათარგმნას. ტექსტის მხატვრულ და ტექნიკურ რედაქტირებას. მანქანაზე გადაბეჭდვას (ქართულად და რუსულად), პოლიგრაფიულ და ქსეროქსულ მომსახურებას.

განცხადება

სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იმპორტული სადიაგნოსტიკო აპარატურით, ფუნქციონირებს კომპიუტერული ტომოგრაფიის, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის, ენდოსკოპიის, რენტგენის, ანგიოგრაფიის, რადიოიზოტოპური კვლევის, ფუნქციური დიაგნოსტიკის, ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის (დოპლერით), თერმოგრაფიის, ლაზეროთერაპიის და კლინიკური ლაბორატორიის და სხვა განყოფილებები.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების, დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის და პროფილაქტიკის მიზნით, ინსტიტუტი მოსახლეობას სთავაზობს ხელშეკრულების დადებას ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურეობაზე, როგორც თვით ინსტიტუტში ასევე ბინაზე.

საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტი ავადმყოფს გაუწევს შუამდგომლობას რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის კლინიკებში მკურნალობის განსაგრძელებლად.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380012 თევდორე მღვდლის ქ. №13. ტელეფონი: 34-81-19, 99-33-94.

ინსტიტუტის დირექცია

იყიდება
1. ხეიფი. ზომები: 145 65 57 [illegible]
საწყისი ფასი 80, 0 ათასი მან.
2. საბეჭდი მანქანა „იატრანი" (გაუხსნელი)
ფასი 100 დოლარი.
3. კონდიციონერი SV -1800 (გაუხსნელი),
ფასი 150 დოლარი.
დარეკეთ: 34-01-10 ზურაბი.

იყიდება:
რადიოტელეფონი – Radio Clock International (იაპონია);
დიქტოფონი – Sanyo (სამხ. კორეა);
ყავის სერვისი – Arcoroc (საფრანგეთი);
ვიდეოკასეტები – Sikise (იაპონია);
დეზოდორები – argesse Dallas Cobra (საფრანგეთი). 270 მლ;
დეზოდორები – Kuomo Leonierd, Calleani Raganza (ესპანეთი). 270 მლ.
ოდეკოლონები – Oskar de Madini, Nomber one de Madini (ესპანეთი);
მამაკაცის პერანგები – Charke Laurent, Azzaro (საფრანგეთი);
მამაკაცის პერანგები – Walter Wolf (გერმანია);
მამაკაცის მაღალყელიანი ფეხსაცმელები – Tejon (ესპანეთი);
თბილი ქურთუკები – NWK (ესპანეთი);
ჯინსები – Lewi Strauss (ესპანეთი);
ქალის მოსასხამები, პულოვერები, ფეხსაცმელები (ესპანეთი);

პარტია ნებისმიერი, მინიმალური რაოდენობა — 1 ც. 5 ცალის და მეტის მყიდველს 4 თვეში დაუბრუნდება გადახდილი თანხის 50 პროცენტი.

შუამავლები მიიღებენ საკომისიო გასამრჯელოს 10 პროცენტის ოდენობით.

ტელეფონი: 29-01-72
ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 9-დან 16 საათამდე.

ბანდიტურ-მაფიოზური მაჭლაჯუნა

„გმადლობთ, ამ კოშმარისაგან რომ გვიხსენით"

ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 15 დეკემბრის სისხამ დილით, ამ სიტყვებით ხვდებოდნენ მადლიერი ზესტაფონელები რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ოპერატიული ჯგუფის წევრებს.

შებორკილი სვირელი „ძმები" კი იბღვირებოდნენ და ზესტაფონის პოლიციის სულ ახლახან დანიშნულ უფროსს ემუქრებოდნენ, „შენ ჩაგვიშვი, უთუოდ გაგისწორდებითო". თუმცა, რა ეთქმოდათ, მათ ხომ დიდი ხანია თვითონ გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი და მათი ბედის განსაზღვრაში ღმერთი არ ერია.

„სვირის საძმო", როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, ამ ორიოდე წლის წინათ ჩამოყალიბდა. სოფელში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ზრუნვა, საქველმოქმედო თუ სხვა მასობრივი ღონისძიებების გამართვა, აი, ძირითადად, რა უნდა ყოფილიყო ამ „საძმოს" ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი.

ორგანიზაციას სათავეში ძმები მერაბ და კოხტა კაკაურიძეები ჩაუდგნენ. ისინი მაშინ, ფაქტობრივად არსად არ მუშაობდნენ, დრო თავზე საყრელად ჰქონდათ და, როგორც ჩანს, არც ფანტაზიის უნარს იყვნენ მოკლებული. ძმები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოდიოდნენ, კოხტა (ამჟამად მიმალულია) ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრიც კი ყოფილა, ამიტომ მეტად უიოლდებოდათ „მოღვაწეობა" — „დამონებული, დაშინებული ხალხის განთავისუფლებისა და კრიმინალური ბანდებისაგან დაცვისათვის ბრძოლა".

როგორც მოსალოდნელი იყო, „მშვიდობის მაძიებელ ძმებს" მალე მოყირჭდათ ცარიელი, მჭვირალა, არაფრის მაქნისი ლოზუნგებით ცხოვრება და განიზრახეს „დიდ", რეალურ საქმეებზე გადასულიყვნენ. კარგად იცოდნენ, რომ ამისათვის ცენტრალური ავტომაგისტრალის ხელში ჩაგდება იყო საჭირო. მიზანი ამართლებდა მოქმედებას: უგზატკეცილოდ მთავარი არტერია გადაეჭრებოდა მათ მოღვაწეობას და „დიადი" ჩანაფიქრის განხორციელებაც დამუხრუჭდებოდა.

დიდად არ უმტვრევიათ თავი, ერთი-ორი იღბლიანი გაბრძოლება და გზატკეცილს დაეუფლნენ. ხელშეუხებლობის მანდატიც ჰქონდათ — ეროვნული მოძრაობის სახელით იტაცებდნენ ავტომანქანებს, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ყველას და ყველაფერს. მათთვის ავტორიტეტი არ არსებობდა. დაუკავშირდნენ იმ რეგიონში მოთარეშე ბანდიტურ ჯგუფებს, დაუახლოვდნენ საქვეყნოდ ცნობილი რეციდივისტის „რაჭას" ჯგუფსაც, ამასთან, „საძმოს" ბევრი „კანონიერი ქურდი" და ყაჩაღიც შეემატა. ძარცვა-გლეჯით გული რომ იჯერეს, გადაწყვიტეს სამოღვაწეო ასპარეზი გაეფართოებინათ, სახელმწიფო სტრუქტურები, საწარმო-დაწესებულებები საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ. თავდაპირველად ღვინის ქარხნიდან გაიტაცეს 48 ტონა ღვინის სპირტი. (პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაციის დროს მერაბ კაკაურიძის სახლში იპოვეს 25 ტონა). რაიონის ცენტრსა და სოფლებში ხელში ჩაიგდეს საპრივატიზაციოდ განკუთვნილი თითქმის ყველა საწარმო-დაწესებულება და საუკეთესო მიწის ნაკვეთები.

ამის შემდეგ „ფულიან ადგილებზე" თავისი ხალხი ჩააყენეს. მაგალითად, პურსაცხობის გამგედ „საძმოს" წევრი ამირან დეკანოიძე (ისიც მიმალულია) დანიშნეს. სხვათა შორის, უხარისხოდ და ულაზათოდ გამოცხობილ თითოეულ პურს 80-100 გრამი აკლდა, იქვე აღმოჩნდა ზედმეტი ფქვილი. „საძმოს" შეფის ბინაში ჰუმანიტარული დახმარების მიზნით რაიონში შემოსული 25 ტონა შაქარი „ინახებოდა".

„საძმო" აქტიურად მფარველობდა მეტად საშიშ დამნაშავეებს. რაღაც „მანქანებით" მათ პოლიციელებზე თავდასხმაში მონაწილე ყაჩაღების განთავისუფლებაც კი შეძლეს. ცდილობდნენ ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებად მათი წრიდან გამოსული ხალხი დაენიშნათ. თუ კაცი არ მოეწონებოდათ, თანამდებობაზე არ გააჩერებდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ერთ წელიწადში პოლიციის რაიონული განყოფილების სამი უფროსი შეიცვალა. თუ თვალში არ მოუვიდოდათ და მათ წისქვილზე არ ასხამდა წყალს, პროკურორიც შეიცვლებოდა. იმასაც მიაღწიეს, რომ რაიონის გამგებლად „საძმოს" აქტიური წევრი ამირან კაკაურიძე „დააწინაურეს". სწორედ მისი ხელშეწყობით მოახერხა „საძმომ" ბანკიდან ერთი მილიარდი კუპონი(!) სესხის გამოტანა და მითვისება. ასევე არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს ვითომდა სასურსათო პროდუქტების შესაძენად გამოტანილი ასობით მილიონი მანეთი. ახლა ზესტაფონის ბანკში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველოების თანამშრომლები მუშაობენ. ვინ იცის, კიდევ რამდენ დანაშაულს აეხდება ფარდა.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

დებულებით, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრებს, იარაღი არ უნდა ჰქონოდათ. სინამდვილეში კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული. ჰქონდათ ორი ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანა, ყუმბარმტყორცნი, ტყვიამფრქვევი, ავტომატები, ხელყუმბარები, დიდძალი ტყვია-წამალი...

„საძმო" დაკავშირებული იყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებთან, საქმოსნებთან, დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლებთან — მკვლელებთან, ყაჩაღებთან, ქურდებთან... ამრიგად, უეჭველია, რომ „სვირელთა საძმო" ბანდიტურ-მაფიოზური ჯგუფი იყო.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ყველასათვის გასაგებად წერია: „მაფია საიდუმლო, ფარული ორგანიზაციაა, რომელიც თავისი მიზნების განხორციელებისას ცდილობს ხელისუფლებისა და პოლიციის ზოგიერთი მერყევი მუშაკის მოსყიდვას, სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევას და ა. შ.".

ამ დროს, „სვირის საძმო" ორწელიწადზე მეტ ხანს დაუფარავად, შეუნიღბავად და დაუსჯელად მოქმედებდა. მისი ინიციატივით ექვსჯერ მოხდა პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმა, მაგრამ რატომღაც არავინ დასჯილა. ეჭვს არ იწვევს, რომ დამნაშავეებს ვიღაც მფარველობდა, ხელს აფარებდა... ალბათ, გამოძიების პროცესში დადგინდება სად არის ძაღლის თავი ჩამარხული, ხელისუფლების, მთავრობის, პარლამენტისა თუ ცალკეული გავლენიანი პოლიტიკური პარტიების რომელ კარებამდე მივყავართ დანაშაულის კვალს.

ამჟამად მხოლოდ თერთმეტი „ძმა" — **„სვირის საძმოს" თავმჯდომარე მერაბ კაკაურიძე, პურსაცხობის დაცვის უფროსი რაულ აბულაძე, ამავე საწარმოს მძღოლი მალხაზ კაკაურიძე, ქვედა საზანოს ღვინის ქარხნის მუშა არჩილ ურიადმყოფელი, უმუშევრები ბექან ნებიერიძე, გიორგი კობახიძე, კახა ერგემლიძე, როინ ხვედელიძე, შალვა აბულაძე, გიორგი ხალუქაძე და ადრე ხუთჯერ ნასამართლევი ნუგზარ ერგემლიძე** — არიან დაპატიმრებული, დანარჩენები — 120 კაცზე მეტი — ან ტყეში გავიდა, ან საქართველოდან საერთოდ გადაიხვეწა.

ამჟამად, ზესტაფონში მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი პოლიციის (ის დიდხანს დემორალიზებული იყო, ახლა კი, ახალი უფროსის მცდელობით, ნელ-ნელა იმართება წელში) ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ოპერაციის დასკვნითი ნაწილის განხორციელება აქვს დავალებული.

სპეციალისტების აზრით, „სვირის საძმოს" თავისი კუთხისა და ხალხის მიმართ ჩადენილი ყველაზე დიდი დანაშაული მაინც იმ ახალგაზრდა, უწვერულვაშო ბიჭების მრუდე გზაზე დაყენება, ქურდებად და ყაჩაღებად ქცევაა, ვისაც თოხი ან კალამი უნდა სჭეროდა ხელში, ამის ნაცვლად ავტომატი დააჭერინეს, უდანაშაულო ადამიანების აწიოკებაში დაასოსტატეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა მიმართავს ყველას, ვისაც რაიმე დანაშაული არ ჩაუდენია, სამართალდამცავ ორგანოებში მოვიდეს, იარაღი ჩააბაროს და ოჯახს დაუბრუნდეს. — ოპერაციის დროს „საძმოელებს" ჩამოართვეს 14 მსუბუქი ავტომანქანა; მათ შორის, ექვსი უცხოური მარკისა („მერსედესი", „ვოლვო", „ფორდი", „ჟიგულები") „საძმოს" შეფის ეზოში იდგა.

საერთოდ, „საძმოს" რიგითი წევრების ოჯახები ჩანს, დალხინებით არ ცხოვრობდნენ. ორი აზრი არ არის, რომ მათ თავი გაწირეს ბობოლებისათვის. ახლა, სანამ გვიან არ არის, უნდა დაფიქრდნენ თავიანთ შეცდომებზე, დიდ თუ მცირე ცოდვებზე, მობრუნდნენ და ნებაყოფლობით დაყარონ იარაღი, ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ...

ზაურ მაკარაძე.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სახელმწიფო კორპორაციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434